



შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ  
მასწავლებლის კომპეტენციის დასადასტურებლად  
პროფესიული უნარები

თბილისი 2021

## შესავალი

პროფესიული უნარების ტესტი ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. სტანდარტში დეტალურადაა აღწერილი პროფესიული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთაც პედაგოგი უნდა ფლობდეს.

პროფესიული უნარების ტესტი მიზნად ისახავს იმის შეფასებას, თუ რამდენად აკმაყოფილებს პედაგოგი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რამდენად შეუძლია მას სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვა, მოსწავლეთა სწავლით დაინტერესება და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, მოსწავლეებს შორის ჯანსაღი ურთიერთობებისა და კლასში ეთიკური ღირებულებების დამკვიდრება. მასწავლებლის პროფესიული უნარების კომპეტენციის დადასტურება იმის ერთგვარი წინაპირობაა, რომ სკოლებში იმუშავენ პედაგოგები, რომელთაც არა მარტო შესაბამისი საგნის საფუძვლიანი ცოდნა ექნებათ, არამედ პროფესიისათვის აუცილებელი უნარებიც.

იმისათვის, რომ დაგეხმაროთ მასწავლებლის პროფესიული უნარების კომპეტენციის დადასტურებისათვის მომზადების პროცესში, გამოცდების ეროვნული ცენტრი გთავაზობთ კრებულის, „როგორ მოვემზადოთ მასწავლებლის კომპეტენციის დასადასტურებლად - პროფესიული უნარები“ ელექტრონულ ვერსიას. კრებულში მოცემულია ინფორმაცია პროფესიული უნარების ტესტის შესახებ - 2014 და 2019 წელს გამოყენებული ტესტები (დანართი #2, გვ.65; დანართი #4, გვ.112), განხილულია ღია დავალებები, რომლებიც 2014 და 2019 წელს იყო გამოყენებული ტესტში და მათი შეფასების კრიტერიუმები. ამ კრებულის დახმარებით შეძლებთ, გაეცნოთ შეფასების პრინციპებს, ასევე, მასწავლებლების მიერ დაშვებულ ტიპურ შეცდომებსა და შესაბამის რეკომენდაციებს.

კრებულში ასევე წარმოდგენილია პედაგოგთა პროფესიული უნარების საგამოცდო პროგრამა (დანართი #1, გვ.58) და ტესტის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები (დანართი #3, გვ.92).

გისურვებთ წარმატებას!

## ღია დავალებები

ღია დავალების პირობა შედგება ორი ნაწილისაგან: აღწერილი სიტუაცია და შესაბამისი შეკითხვა/მითითება, რომელსაც არა აქვს თანდართული სავარაუდო პასუხები. აპლიკანტს ევალება, თავად იმსჯელოს დავალებაში გამოკვეთილ პრობლემაზე. შეკითხვა შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე მითითებას. მითითება ეხმარება აპლიკანტს, კარგად გაიაზროს პირობა და განსაზღვროს, რა მიმართულებით უნდა წარმართოს მსჯელობა.

ღია დავალების ნიმუში:

პირობა:

1. სიტუაცია დაძმეებ პედაგოგს მეცხრე კლასში დისციპლინის პრობლემები შეექმნა. ამ პრობლემების მოსაგვარებლად მან გადაწყვიტა კლასში მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავება და რჩევისთვის თქვენ მოგმართათ.
2. შეკითხვა/მითითება
  - მიეცით პედაგოგს ორი რჩევა, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავებისას.
  - ახსენით, როგორ დაეხმარება თქვენი რჩევა დაძმეებ პედაგოგს დისციპლინის პრობლემების მოგვარებაში. დაასახელეთ თითოეული რჩევის დადებითი შედეგი.


ღია დავალება, ჩვეულებრივ, მოითხოვს სიტუაციის ანალიზს, არგუმენტაციას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, პრობლემის პრევენციაზე ან დაძმევაზე ორიენტირებული აქტივობების აღწერასა და მათი შესაძლო შედეგების შეფასებას. ამ ტიპის დავალებას არა აქვს ერთი სწორი პასუხი, რადგან შეიძლება დავალებაში აღწერილი პრობლემა სხვადასხვა კუთხით გაანალიზდეს ან ერთი და იგივე პრობლემა განსხვავებული გზით დაიძლიოს. სწორედ ამიტომ, თითოეული ღია

დავალებისათვის წინასწარ არის შემუშავებული შეფასების სქემა, რომელშიც განხილული და დასაბუთებულია შესაძლო „სწორი პასუხები“. შეფასების სქემაში დეტალურადაა აღწერილი, რა შემთხვევაში ფასდება აპლიკანტი „ნაწილობრივი“ ან მაქსიმალური ქულით. სწორედ სქემაში აღწერილი შეფასების საერთო პრინციპისა და შინაარსის ადეკვატურობის გათვალისწინებით ფასდება თითოეული აპლიკანტის ნაშრომი. იმისათვის, რომ დავალება სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ საკითხს – დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული, ამასთან, პასუხი არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს.

ღია დავალების შეფასებისას ხშირად გამოიყენება შეფასების რუბრიკები. რუბრიკა შეფასების გზამკვლევაა. შეფასების რუბრიკა შეიძლება იყოს ჰოლისტური, ანუ მთლიანი და ანალიტიკური. ჰოლისტური რუბრიკა ნამუშევარს აფასებს მთლიანობაში, თუ როგორ არის შესრულებული ნამუშევრები ზოგადად, ხოლო ანალიტიკური რუბრიკა - ცალკეულ კომპონენტებს. პროფესიული უნარების ტესტში ღია დავალებების შეფასებისას გამოყენებულია როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური რუბრიკა. რუბრიკის ნიმუშები წარმოდგენილია №3 დანართში (გვ. 85).

პედაგოგთა ნამუშევრების თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების საილუსტრაციოდ გთავაზობთ ზოგიერთ ღია დავალებაზე მასწავლებელთა მიერ გაცემული პასუხების ნიმუშებს თანდართული განმარტებებით.

სწავლის ეფექტიანობის ასამაღლებლად მასწავლებლები ხშირად იყენებენ სხვადასხვა ტიპის კოგნიტურ სქემებს. ერთ-ერთი ასეთი სქემაა ვენის დიაგრამა (იხ. ნახაზი), რომლის გამოყენებაც მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს.



- მოიყვანეთ სწავლების პროცესში ვენის დიაგრამის ეფექტიანი გამოყენების კონკრეტული მაგალითი.
- დაასახელეთ, მოსწავლის რომელი უნარების განვითარებას უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება სასწავლო პროცესში. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**რას ვაფასებთ.** სწავლის პროცესში სხვადასხვა ტიპის კოგნიტური სქემების გამოყენება მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეებს შესასწავლ მასალაზე ყურადღების კონცენტრაციაში, მასალის უკეთ გაგებასა და გააზრებულ დასწავლაში. ამას გარდა, ხელს უწყობს მოსწავლეების წაკითხულის გააზრების, ანალიტიკური, დამოუკიდებელი აზროვნების და სხვა კოგნიტური უნარების განვითარებას. ამ დავლებით ფასდება, იცნობს თუ არა პედაგოგი ვენის დიაგრამას, რამდენად კარგად/მიზნობრივად იყენებს მას სწავლების პროცესში და როგორ აანალიზებს კოგნიტური სქემების გამოყენების ეფექტიანობას მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწობად.

**შეფასების კრიტერიუმები.** დავლება 4-ქულიანია. აპლიკანტმა, დავლების პირობის შესაბამისად: (1) უნდა აღწეროს ვენის დიაგრამის გამოყენების კონკრეტული მაგალითი; (2) უნდა დაასახელოს, მოსწავლის რომელი უნარების განვითარებას

უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება სასწავლო პროცესში და დაასაბუთოს საკუთარი პასუხი – განმარტოს, რატომ, როგორ უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება მის მიერ დასახელებული უნარის განვითარებას. შესაბამისად, მაქსიმალური 4 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და ორივე მითითებაზე სრულად არის პასუხი გაცემული: აღწერილია ვენის დიაგრამის გამოყენების კონკრეტული მაგალითი და დასახელებულია უნარი, რომლის განვითარებასაც უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება. პასუხი დასაბუთებულია (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. დანართი №3, გვ.103).

21-ე დავალების შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ზოგიერთ ნიმუშს.

ნიმუში №1

პასუხი შეფასებულია 4 ქულით.

~~21. როგორც ვეხსენებები, პასუხი უნდა იყოს დაფუძნებული ვენის დიაგრამის გამოყენების შესახებ და დასახელებული უნარის განვითარებას. მაქსიმალური 4 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და ორივე მითითებაზე სრულად არის პასუხი გაცემული: აღწერილია ვენის დიაგრამის გამოყენების კონკრეტული მაგალითი და დასახელებულია უნარი, რომლის განვითარებასაც უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება. პასუხი დასაბუთებულია (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. დანართი №3, გვ.103).~~

განმარტება. წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტი სრულად პასუხობს დავალების ორივე მითითებას – მასში აღწერილია ვენის დიაგრამის გამოყენების ადეკვატური მაგალითი. დასახელებულია უნარები, რომელთა განვითარებასაც უწყობს ხელს ვენის დიაგრამა და დამაჯერებლად არის განმარტებული, კონკრეტულად რა განაპირობებს ამ უნარების განვითარებას ვენის დიაგრამის გამოყენების დროს. შესაბამისად, პასუხი შეფასებულია მაქსიმალური ქულით.



განმარტება. წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტი კარგად აღწერს ვენის დიაგრამის გამოყენების მაგალითს (ტარიელისა და ავთანდილის შედარებითი დახასიათება) და პირველ მითითებაზე პასუხში იმსახურებს 1 ქულას. მეორე მითითების პასუხად აპლიკანტი ორის ნაცვლად ასახელებს მხოლოდ ერთ უნარს (ანალიზის უნარი), ამასთან, პასუხი ზადაპირულია. აპლიკანტი არ განმარტავს, არ ასაბუთებს, როგორ უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება ანალიზის უნარის განვითარებას. შეფასების სქემის თანახმად მეორე მითითებაზე პასუხში აპლიკანტი იმსახურებს, ასევე, 1 ქულას. შესაბამისად, ნაშრომი შეფასებულია 2 ქულით.

ნიმუში №4

პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

21. ვენის დიაგრამა გამოიყენება ტარიელის შემთხვევაში ანალიზის უნარის განვითარებისათვის. მომავალი დიაგრამის იმისა ამოწმების მიზნით განიხილეთ და შედეგი იგივეა, რომელიც თანვე გამოიყენება გამოიყენება კარგად და ყოველთვის მსახურებს გამოყენებაში. მომავალი დიაგრამის ამოწმების მიზნით და შედეგი იგივეა, რომელიც თანვე გამოიყენება გამოიყენება კარგად და ყოველთვის მსახურებს გამოყენებაში.

განმარტება. მოცემულ შემთხვევაში აპლიკანტი უპასუხებს მხოლოდ პირველ მითითებას – მხოლოდ აღწერს, რა შემთხვევაში და როგორ გამოიყენება ვენის დიაგრამა. აპლიკანტის პასუხი მეორე მითითებაზე არ არის ადეკვატური, იგი არ ასახელებს არც ერთ უნარს (მოსწავლეს დაეხმარება პიროვნების ხასიათის და ფსიქიკის წვდომაში), საუბრობს მხოლოდ სწავლის დადებით შედეგზე. შესაბამისად, ნაშრომი შეფასებულია 1 ქულით, რადგან პასუხობს მხოლოდ პირველ მითითებას.

ნიმუში №5

პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

21. მომავალი დიაგრამის გამოყენება ვენის დიაგრამის, ეს უნარს ხელს მომწოდებს ნათელი გამოიყენებს და ეს უნარს და ეს ხელს ხომ ვიცი მომწოდებს. ვ.ე.ე. სხვის სქეს მომწოდებს სავალდებულო სივრცის გამოყენებაში ეხმარება. ეს უნარს ხელს, მომწოდებს ვიცი ხელს ამას თუ იმ შემთხვევაში მომწოდებს სხვის, ხელს ეს ამხის ნათელი გამოიყენებს სავალდებულო იხილს.





შესახებ წარმოდგენის შექმნას). და ა. შ. პასუხში გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა ტერმინების ალოგიკური ჩამონათვალი. შესაბამისად, ნიმუშში წარმოდგენილი პასუხი შეფასებულია როგორც არარელევანტური და იმსახურებს 0 ქულას.

დავალება №21-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები:

- ▶ არარელევანტული შედეგის აღწერა. აპლიკანტები ხშირად ასახელებდნენ ან აღწერდნენ ისეთ უნარებს, რომელთა განვითარებასაც არ უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება სწავლების პროცესში (მაგ., შემოქმედებითი აზროვნების უნარს, პრეზენტაციის უნარს და ა.შ.).
- ▶ დავალების პირობას აცდენილი პასუხები. ხშირად აპლიკანტები კითხვაში დასმულ მოთხოვნებზე პასუხის ნაცვლად საუბრობდნენ სხვა კოგნიტური სქემის/დიაგრამის ან სტრატეგიის შესახებ (მაგ, სტრატეგია 3, 2, 1 – ის; კორნელის გრაფის და ა.შ.). ხშირ შემთხვევაში, პასუხები იყო ზოგადი და მათში, ჩვეულებრივ, წარმოდგენილი იყო პირობაში მოცემული ინფორმაციის პერიფრაზი.
- ▶ ზედაპირული დასაბუთება. ასევე ხშირი იყო პასუხები, რომლებშიც მოცემული იყო სუსტი არგუმენტაცია, მხოლოდ ზედაპირულად იყო განმარტებული. რატომ მოსდევს ვენის დიაგრამის გამოყენებას რომელიმე უნარის განვითარება. მაგალითად, მსჯელობაში ხშირად გამოიყენებოდა ფრაზები: „იმიტომ, რომ კოგნიტური სქემების გამოყენება ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარებას“, „ვენის დიაგრამა ეხმარება წაკითხულის გააზრებაში“ და სხვ.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**

„სწავლება და შეფასება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008), გვ. 38-63;

„ეფექტური სწავლება“ - ჯ. მარზანო, ჯ. ფიქერინგი, ი. ფოლოქი, გვ.15-23.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს ყოველკვირულ გეგმას, რომელიც ასე გამოიყურება:

**სასწავლო დღიური**

| დღე       | გაკვეთილის თემა | სახელმძღვანელო/ პარაგრაფი | დავალეზა/ სავარჯიშო | დავალეზის შესრულებაზე დახარჯული დრო |
|-----------|-----------------|---------------------------|---------------------|-------------------------------------|
| ორშაბათი  |                 |                           |                     |                                     |
| სამშაბათი |                 |                           |                     |                                     |
| ...       |                 |                           |                     |                                     |

1. შევასრულე თუ არა ყველა დავალეზა? — თუ – არა, რატომ? —
2. რა გავიგე კარგად? —
3. რა გამომხელდა? —
4. რა ვერ გავიგე? —
5. რომელი მეთოდით უფრო ეფექტურად ვსწავლობ? —

მშობლის ხელმოწერა:

მოსწავლეებს ევალუატი: „სასწავლო დღიურის“ შევსება, კვირის ბოლოს თანდართულ კითხვებზე პასუხის გაცემა და მათი გაცნობა მშობლებისათვის.

- აღწერეთ ორი დადებითი შედეგი, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მასწავლებლის ამგვარ მიდგომას. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**რას ვაფასებთ.** სწავლის პროცესში სხვადასხვა მიდგომის გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს როგორც უნარების განვითარებაში, ასევე სასწავლო პროცესისადმი გაცნობიერებული დამოკიდებულებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაში. აუმაღლოს მათ სწავლის მოტივაცია, აქტიურად ჩართოს მშობლები შვილების სწავლის პროცესში და გაამარტივოს მათთან კომუნიკაცია. ამ დავალეზით ფასდება, იცნობს თუ არა პედაგოგი განსხვავებულ მიდგომებს, რამდენად კარგად იყენებს მათ მუშაობის პროცესში და როგორ



მოტივაციის ამაღლებისათვის ადეკვატურად შეუძლია გამოიყენოს განსხვავებული მიდგომები. ნაშრომი შეფასებულია მაქსიმალური 4 ქულით.

ნიმუში №2

პასუხი შეფასებულია 3 ქულით.

22. „სასწავლო დღიურის“ ერთ დადებით შედეგად, ის რომ მშობელი აცხადებს თავის შვილს მომზადების დონეს, აცხადებენ მას, ხაც დიდ გულანას ახდენს მუთხ დადებით შედეგზე, ხომელიც მასწავლებელს მშობელი მომზადების შედეგს მასწავლებელსა და მშობელს შორის თანამშრომლობა, კომუნიკაცია. მუთხ დადებით შედეგად ის, რომ მასწავლებელს უყავ კახგად იყის თუ ხა გოგის კახგად, ხა გოგინდელ და ხომელი საჯიოთი ვიზ გოგის და კიდევ ხომელი აქვევობის, შედეგობს გამოყენება საჯიოთი.

განმარტება. აპლიკანტის პასუხი არასრულია. იგი ასახელებს „სასწავლო დღიურის“ გამოყენების ორ დადებით შედეგს (მშობელთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება

და სასწავლო პროცესის დაგეგმვა მოსწავლეთა მიღწევების გათვალისწინებით). თუმცა ორივე დადებითი შედეგის დასახელებას მოსდევს ზედაპირული დასაბუთება. მშობელთან ეფექტური კომუნიკაციის შესახებ მსჯელობა ეხება მხოლოდ მშობლის მიერ შვილის შედეგების შემოწმებას, ფრაზა საკმაოდ ბუნდოვანია და, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ აპლიკანტი გულისხმობს: რადგან მშობელი და მასწავლებელი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ამოწმებენ მოსწავლის მომზადების დონეს, ამან ხელი უნდა შეუწყოს მათ შორის ნდობასა და თანამშრომლობას. აგრეთვე ზედაპირულადაა განმარტებული, რის საფუძველზე გეგმავს მასწავლებელი კლასთან მუშაობას. შეფასების სქემის თანახმად, როდესაც დასახელებულია ორი დადებითი შედეგი, მაგრამ დასაბუთება სქემატურია და, ზოგადად, მსჯელობაც არ არის თანმიმდევრული, ლოგიკური, პასუხი ფასდება 3 ქულით.

ნომერი №3

პასუხი შეფასებულია 2 ქულით.

22. ~~მასწავლებლის სასწავლო დღიური შექმნა და კითხვებზე პასუხის გაცემა  
 ძირიან კარგი მიდევნა, ხოლოცა მასწავლებლის, ძველ მშობლისთვის.  
 მასწავლებლის უფროსდება პასუხისმგებლობის გაცნობა, უფრო კონკრეტულად  
 ვიდრე თუ ხარ სთხოვენ. მას, ამოცანი ის უკლებს ყველა კითხვას გასცეს ან-  
 სუხი, თან იქნის რომ მშობელიც გაეცნობა მას.  
 დანართი შედეგი მოყვება ახლოვე მასწავლებლის ამგვარ მი-  
 დევნა, ხადგან მშობელი ეცნობა ყოველთვის ვეცმას, ხედავს  
 ხარ ვაძეობა მისმა შეიღბა და ხარ ვეც გაეცნობა.~~

განმარტება. შეფასების სქემის მიხედვით, როდესაც აპლიკანტი ასახელებს ორ დადებით შედეგს, მაგრამ სუსტად/სქემატურად ასაბუთებს მათგან მხოლოდ ერთს, პასუხი ფასდება 2 ქულით. მოცემული ნომერი სწორედ ამის საილუსტრაციოდაა წარმოდგენილი. აპლიკანტი მის მიერ დასახელებულ დადებით შედეგთაგან სქემატურად განმარტავს მხოლოდ იმას, თუ რა იწვევს მოსწავლის პასუხისმგებლობის ზრდას (იცის, რომ მშობელიც გაეცნობა). რაც შეეხება მეორე დადებით შედეგს, აპლიკანტი მიუთითებს მხოლოდ შვილის საქმიანობის შესახებ მშობლის ინფორმირებულობაზე და პასუხს არ ასაბუთებს. შესაბამისად, ნაშრომი შეფასებულია 2 ქულით.

ნომერი №4

პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

22. ~~მასწავლებლის უფროსდება პასუხისმგებლობის გაცნობა, უფრო კონკრეტულად  
 ვიდრე თუ ხარ სთხოვენ. მას, ამოცანი ის უკლებს ყველა კითხვას გასცეს ან-  
 სუხი, თან იქნის რომ მშობელიც გაეცნობა მას.  
 დანართი შედეგი მოყვება ახლოვე მასწავლებლის ამგვარ მი-  
 დევნა, ხადგან მშობელი ეცნობა ყოველთვის ვეცმას, ხედავს  
 ხარ ვაძეობა მისმა შეიღბა და ხარ ვეც გაეცნობა.~~

განმარტება. აპლიკანტი ადეკვატურად ასახელებს ორ დადებით შედეგს, მაგრამ პასუხს არ ასაბუთებს. შეფასების სქემის მიხედვით, ამგვარი პასუხი, როდესაც ჩამოთვლილია ორი ან ორზე მეტი დადებითი შედეგი დასაბუთების გარეშე, ფასდება 1 ქულით.

ნომერი №5

პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

22.

~~მოსწავლეობის ამგვარი მიღწევა ხელს უწყობს  
მოსწავლის სწავლის ეფექტიანობას, დაელოდა ხომელიც  
ახის უბიჯე ნაცნობი, მოსწავლე თამაშებს  
თავის ჭეივნით შეუდგება მის შესრულებას.~~

განმარტება. მოცემულ ნიმუშში აპლიკანტი დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის ნაცვლად ტესტის სხვა დახურული დავალებიდან იწერს ფრაზას, რომელიც არანაირ კავშირში არც არის დავალების პირობასთან (პროფესიული უნარების ტესტი -2014 - დავალება 16 - დავალება, რომელიც არის კარგად ნაცნობი მოსწავლე თამაშად და თავდაჯერებით შეუდგება მის შესრულებას). პასუხი არარელევანტურია და შეფასებულია 0 ქულით.

დავალება №22-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები.

✚ ხშირად აპლიკანტები არ გაიაზრებდნენ დავალების პირობას, ან უგულებელყოფდნენ დავალების მითითებებს და აღნიშნავდნენ არა დავალების პირობაში წარმოდგენილი კონკრეტული მიდგომის შესახებ, არამედ რაიმე სხვა საკითხზე, ან ზოგადად, სწავლების პროცესში სხვადასხვა მიდგომების გამოყენების აუცილებლობაზე. შედეგად მათი პასუხები იყო ზოგადი, მოკლებული კონკრეტულობას და ხშირ შემთხვევაში იგი წარმოდგენდა პირობაში მოცემული ინფორმაციის პერიფრაზს, ან სულაც, სცდებოდა დასმულ საკითხს.

✚ ზედაპირული დასაბუთება. ხშირი იყო დადებითი შედეგების დასახელების შემდგომ მათი ზედაპირული, სუსტი არგუმენტაცია. მაგალითად, „სწორედ ასეთ მიდგომებს მოსდევს დადებითი შედეგები“ „მსგავსი მიდგომები ძალიან ეფექტურია მოსწავლეთა სწავლისთვის“ და ა.შ. ამ დავალების მიზანი იმის შეფასებაა, რამდენად კარგად ესმის აპლიკანტს მიდგომის არსი, რისი დადგენაც შეუძლებელია ასეთი ზოგადი არგუმენტის საფუძველზე.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**

„სწავლება და შეფასება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008), გვ.110-117.

როგორც ცნობილია, მოსწავლეთა ერთ ნაწილს მოსწონს რთული მიზნების დასახვა და პრობლემურ ამოცანებთან შეჭიდება, მეორე ნაწილი კი ორიენტირებულია მარცხის თავიდან არიდებაზე, უფრო ხის შეცდომის დაშვებასა და წარუმატებლობას, ამიტომ შედარებით ადვილად მისაღწევ მიზნებს ისახავს და მოკრძალებული შედეგითაც კმაყოფილია.

- აღწერეთ მასწავლებლის აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის მიღწევის მოტივაციის ზრდას და მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**რას ვაფასებთ.** როგორც ცნობილია, სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელია, მოსწავლე მიმართული იყოს არა მარცხის თავიდან აცილების, არამედ თავისი გონებრივი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციისაკენ. დავალება აფასებს, რამდენად შეუძლია მასწავლებელს, დაეხმაროს მოსწავლეებს თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენაში, რა სტრატეგიების გამოყენებით ცდილობს ის მოსწავლეთა მიღწევის მოტივაციის ამაღლებას.

**შეფასების კრიტერიუმები.** ეს დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) უნდა დაასახელოს მასწავლებლის მიერ განხორციელებული ერთი აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიღწევის მოტივაციის ზრდას და (2) დაასაბუთოს ამ აქტივობის ეფექტურობა. მაქსიმალური (3) ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ ნაწერი მოიცავს პასუხს ორივე მითითებაზე - სრულყოფილად არის აღწერილი მიღწევის მოტივაციის გაძლიერების ხელშემწყობი ერთი რელევანტური აქტივობა და დამაჯერებლად არის არგუმენტირებული მისი ეფექტურობა. (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. დანართი #3, გვ.107).

23-ე დავალების შეფასების პრინციპის უკეთ გასაცნობად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ზოგიერთ ნიმუშს.



ნიმუში № 1

პასუხი შეფასებულია 3 ქულით.

23. მოსწავლის მოქმედება უპასუხებელია მოსწავლე სწავლის შედეგად იქნება, რაც მოსწავლის მოსწავლე შესაძლებელია ფიქრობს, შემდეგ კი ნაწილობრივ სავსებით იქნება, რაც უპასუხებელია ხარისხის მხრივ მოსწავლის შესაძლებლობების შეფასებაში შეიძლება ხარისხის ნაწილობრივ მოსწავლის შეფასება დაიხსნას, ანუ შეფასება განმარტებულია შეფასება და შეფასება, ხარისხის მოსწავლე შეფასებაში და სავსებით სრულად და ანუ ხარისხის განმარტება, ამ უპასუხებელია განმარტება შეფასება უპასუხებელია მოსწავლის შეფასებაში ხარისხის და ანუ უპასუხებელია მოსწავლის.

განმარტება. წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტი უპასუხებს დავალებებში მოცემულ ორივე მითითებას, აღწერს მოსწავლის აქტივობას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის მიღწევის მოტივაციის ზრდას და მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას და ადეკვატურად ასაბუთებს მას. ამგვარი მსჯელობა შეფასების სქემის მიხედვით ფასდება მაქსიმალური (3) ქულით.

ნიმუში № 2

პასუხი შეფასებულია 2 ქულით

23. მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ მოსწავლის შესაძლებლობები და ანუ განმარტება განსაზღვრის იდეალურად სავსებით, აქტივობა მათთვის უკეთეს მუშაობაში, დაავადის რიგებს ფუნქციები, ხშირად უკეთესი განმარტებულია შეფასება და მათზე მიუყვებით პირდაპირი აქტივობა. პირდაპირი მოუყვანის ფორმები და სწავლისათვის მათთვის, ფუნქციების სავსებით თავდაპირველად ანუ შეფასების უკეთესი მუშაობაში, მოსწავლე შესაძლებელია დავალებს გამოტყობის დაფიქრება (ხშირად შეფასების) განმარტების მათთვის: მათთვის, ყოველი უკეთესი გამოტყობის, ანუ უკეთესი და ა.შ.

განმარტება. პასუხში მოცემულია საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, თუმცა არასრულყოფილი ანალიზი. მოცემულ ნიმუშში აპლიკანტი სრულად უპასუხებს პირველ მითითებას - სწორად არის დასახელებული აქტივობები, რომლებიც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მიღწევის მოტივაციის ამაღლებისათვის, მაგრამ იგი მკაფიოდ არ განმარტავს, თუ როგორ უწყობს ხელს მოსწავლეთა დასახელებული

აქტივობა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენაში. შეფასების სქემის მიხედვით პასუხი არასრულია და შეფასებულია 2 ქულით.

ნომერი №3

პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

23. მასწავლებელი წაუკითხა ერთი ჭკადიანი მასწავლებელი, რომელიც მისი მასწავლებლის მასწავლებელს გამოუჩინა და ამბობდა, რომ მასწავლებელი წაუკითხა მასწავლებელს და მას მისი ისეთივე მასწავლებელი უნდა ჰქონოდა, რომელიც მასწავლებელი იყო და მას მისი ისეთივე მასწავლებელი უნდა ჰქონოდა. მასწავლებელი ამბობდა, რომ მისი მასწავლებელი იყო და მას მისი ისეთივე მასწავლებელი უნდა ჰქონოდა. მასწავლებელი ამბობდა, რომ მისი მასწავლებელი იყო და მას მისი ისეთივე მასწავლებელი უნდა ჰქონოდა.

განმარტება. როგორც ვხედავთ, აპლიკანტი ასახელებს და სქემატურად აღწერს ერთ ადეკვატურ აქტივობას (უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა მოსწავლისათვის - ახსნა, რომ შეცდომისათვის არ დაისჯება), რომლის გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ რეალიზებაში. თუმცა პასუხი არ არის არგუმენტირებული და მისი პირველი ნახევარი დავალების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიფრაზია. შეფასების სქემის მიხედვით პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

ნომერი №4

პასუხი შეფასებულია 0 ქულით

23. მასწავლებელი წაუკითხა ერთი ჭკადიანი მასწავლებელი, რომელიც მისი მასწავლებლის მასწავლებელს გამოუჩინა და ამბობდა, რომ მასწავლებელი წაუკითხა მასწავლებელს და მას მისი ისეთივე მასწავლებელი უნდა ჰქონოდა. მასწავლებელი ამბობდა, რომ მისი მასწავლებელი იყო და მას მისი ისეთივე მასწავლებელი უნდა ჰქონოდა. მასწავლებელი ამბობდა, რომ მისი მასწავლებელი იყო და მას მისი ისეთივე მასწავლებელი უნდა ჰქონოდა.

**განმარტება.** წარმოდგენილი ნიმუში შეფასებულია 0 ქულით. აპლიკანტის მიერ არჩეული აქტივობა ცალსახად ვერ შეუწყობს ხელს მოსწავლეთა მიღწევის მოტივაციის ამაღლებას. თავისთავად პროექტის მომზადება, თუ არ ვიცით, რას ეხება ის, ან რამდენად შეესაბამება მისი მომზადება მოსწავლის შესაძლებლობებს, არ იძლევა საფუძველს, რომ ის ეფექტურ სტრატეგიად ჩაითვალოს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ჯგუფურად პროექტის მომზადების და ზოგადად ჯგუფური მუშაობის სუსტი მხარეა სწორედ ის, რომ მიღწევაზე ნაკლებად ორიენტირებულ მოსწავლეს ექმნება პასიურობისა და ჯგუფის მიღწევებით სარგებლობისათვის ხელსაყრელი პირობები. ასე რომ, ეს სტრატეგია არა თუ ადეკვატურად, არამედ ამ შემთხვევაში, არამართებულადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ პასუხი ვრცელია და, ერთი შეხედვით, მოიცავს ორივე კომპონენტს, არარელევანტურობის გამო შეფასების სქემის მიხედვით ფასდება 0 ქულით.

დავალეზა №23 –ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- ▶ დავალეზის პირობის პერიფრაზი. შედეგების ანალიზის ნაცვლად აპლიკანტები ხშირად საკუთარი სიტყვებით აღწერენ სასწავლო აქტივობას, ანუ იმეორებენ იმას, რაც დავალეზის პირობაშია მოცემული.
- ▶ პრობლემები დავალეზის პირობის გააზრებაში. აპლიკანტები ხშირად ყურადღებას არ აქცევენ სიტუაციის სპეციფიკას, მსჯელობენ ზოგადად შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლების სტრატეგიებზე, ყურადღების მიღმა ტოვებენ შეცდომის დაშვების საფრთხით გამოწვეულ პრობლემებს და არაფერს გვთავაზობენ კონკრეტულად მიღწევის მოტივაციის გაძლიერების სტრატეგიებზე.
- ▶ არარელევანტური სტრატეგიის არჩევა. აპლიკანტები ხშირად ირჩევენ პრობლემის მოგვარების არაადეკვატურ ან არასპეციფიკურ სტრატეგიას, მაგ.: 1. მიღწევის დაბალი მოტივაციის მქონე მოსწავლის დაწყვილება წარმატებაზე ორიენტირებულთან. ეს სტრატეგია პასიურ მოსწავლეს რეალურად მისცემს ნაკლებად ჩართულობის და შედეგის სხვისი აქტიურობის ხარჯზე მიღწევის კიდევ ერთ საშუალებას. 2. ჯგუფური მუშაობის ან პროექტის მომზადების პროცესში ჩართვა. როგორც წესი, ამ აქტივობის დასახელება ხდება შინაარსის

დაკონკრეტების და განხორციელების პროცედურის აღწერის გარეშე. თავისთავად ეს აქტივობები ვერ იმოქმედებენ მიღწევის მოტივაციის ამაღლებაზე, თუ არ იქნა შეთავაზებული მზარდი სირთულის დავალებები და თუ თითოეულ ეტაპზე მასწავლებელმა მოსწავლეებს არ მიაწოდა დადებითი უკუკავშირი და განმავითარებელი შეფასება.

- ▶ არჩეული არარელევანტური სტრატეგიის დასაბუთების მცდელობა. არასწორად არჩეულ სტრატეგიას ხშირად თან სდევს არგუმენტირების საკმარისად ვრცელი ნაწილი, თუმცა, თავად სტრატეგიის არამართებულობის გამო ვერც შესაბამისი დასაბუთება ჩაითვლება მართებულად.

### რეკომენდებული ლიტერატურა:

„ეფექტიანი სწავლება“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ.87; გვ 94);

„სწავლება და შეფასება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ.3).

## დავალება 24

მაქსიმალური ქულა-3

### მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება



**მანანა ლორია** კლასში 30 მოსწავლე მყავს, რომლებიც ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან უნარებით, ინტერესებით, სწავლის სტილით... მინდა, სწავლის პროცესში გავითვალისწინო მათი ინდივიდუალური საჭიროებები და გაკვეთილი ამის მიხედვით ავაგო, მაგრამ ამას ხშირად ვერ ვახერხებ. პრობლემები განსაკუთრებით მაშინ მექმნება, როცა ახალ მასალაზე გადასასვლელად ვემზადები. კლასის ყველა მოსწავლე ამისთვის ერთნაირად მზად არ არის. ვიცი, რომ სუსტი მოსწავლეებისათვის ახალი მასალის მიწოდება ადრეა, მაგრამ არც ის მინდა, ძლიერი მოსწავლეები დაბრკოლდნენ.

მაინტერესებს, როგორ ახერხებთ სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენას და მათ გათვალისწინებას?

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • გუმინ, 17:37-ზე

**რას ვაფასებთ.** მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად და საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია დავალებების შერჩევა თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით. დავალება აფასებს, რამდენად კარგად იცნობს პედაგოგი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენისა და სწავლების პროცესში მათი გათვალისწინების სტრატეგიებს და როგორ იყენებს მათ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში.

**შეფასების კრიტერიუმები.** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) დეტალურად უნდა აღწეროს ერთი ადეკვატური ქმედება, რომლის დახმარებითაც მასწავლებელი შეძლებს სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენას, (2) უნდა აღწეროს სტრატეგია, თუ როგორ გაითვალისწინებს მასწავლებელი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და (3) დაასაბუთოს საკუთარი პასუხი – ახსნას არჩეული სტრატეგიის ეფექტურობა. მაქსიმალური - 3 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული. აპლიკანტი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა კითხვას (მითითებას). აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით. აღწერილია ერთი ადეკვატური ქმედება, რომლის დახმარებითაც მასწავლებელი შეძლებს სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენას. აღწერილია სტრატეგია, თუ როგორ გაითვალისწინებს მასწავლებელი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და დასაბუთებულია არჩეული სტრატეგიის ეფექტურობა. არ არის დაშვებული უხეში შეცდომა. აპლიკანტის პასუხი ლოგიკური, თანამიმდევრული და სრულყოფილია. (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. დანართი #3, გვ.109).

24-ე დავალების შეფასების პრინციპების უკეთ გასაგებად განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეული ზოგიერთი ნიმუში.



ვრცლად აღწერს, როგორ ჩართავს სახვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეებს სასწავლო პროცესში და ასაბუთებს მის ეფექტურობას. შეფასების სქემის მიხედვით პასუხი შეფასდა 2 ქულით.

ნიმუში №3

პასუხი შეფასებულია 1 ქულით

24.

სუვიერობთან შემაჯობა.  
დაგანყოფილი ძველი სუსტიანი, მივსული ფაშოუკიდებელი  
სამუშაო, ხომღის ენაფ ამოხსნისას ძველი სუსტს  
დახეხაშუბა, ექნებათ წინაზე ყოფნის თანაშაჩი ღონე  
და შეიძლება მათი მასდის მსნა, ხომეფიც ყვედასათვის  
გასაგებო იქნება.

განმარტება. პასუხში არაფერია ნათქვამი მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენაზე, აპლიკანტი ძალიან ზოგადად უპასუხებს დავალების მხოლოდ მეორე მითითებას, თუ როგორ უნდა მოხდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინება სწავლების პროცესში, თუმცა არჩეული სტრატეგიის ეფექტურობის დასაბუთებაც მშრალი და სქემატურია. შეფასების სქემის მიხედვით ამგვარი პასუხი ფასდება 1 ქულით.

ნიმუში №4

პასუხი შეფასებულია 0 ქულით

24. კლასში ყველა მოსწავლეს ვერ ექნება ერთნაირი ტანისი შერე  
დავალებითი მოსწავლეებზე სოფლის, მონე, სწავლის ენაში რთივრთა  
ლონი სხვატომობა. გაცევილოლი გვეში ერთნაირი სწავლა გვეში  
და მოსწავლე რთივრთალონი თვსტომობაში ვითვალისწინება  
დადგება არ არის სემარისი რთივი ტანისი ვანეიორენ  
ყვეა შექმნის სეი მოცეში გაცევიორე, აქეონ გამოქორნიანე  
ფედა შევარისი სტრატეგიცე, და რთივრთა გაცევიორე  
მოსწავლე რთივრთა შენეთან ხეონ. მოსწავლე ყველივ  
ტი კონტენტარევიონ და სოფლის ირთივრთა, ვეცეა ვანეიორე.

განმარტება. მოცემული ნიმუშის ავტორი პრობლემის გადასაჭრელად - მოსწავლეთა გამსხვავებული შესაძლებლობების დადგენისა და გათვალისწინებისათვის არ გვთავაზობს არც ერთ სტრატეგიას. დასაწყისში მისი მსჯელობა არის ზოგადი და ფაქტობრივად მხოლოდ აფასებს პრობლემას და აღწერილ სიტუაციას. პასუხის მეორე

ნაწილი კი საერთოდ არ ეხება დავალებაში აღწერილ სიტუაციას, შეიძლება ვთქვათ, რომ კითხვას აცდენილია. შესაბამისად, როდესაც აპლიკანტი არ უპასუხებს დავალების პირობის არც ერთ მითითებას ნაშრომი ფასდება 0 ქულით.

დავალება №24-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- ❖ დავალების პირობის პერიფრაზი. პასუხის გაცემისას აპლიკანტები საკმაოდ ხშირად მოსწავლეთა შესაძლებლობების გასათვალისწინებელი კონკრეტული სტრატეგიების წარმოდგენის ნაცვლად დავალების პირობაში მოცემული ინფორმაციის პერიფრაზს გვთავაზობენ მოწოდების ფორმით (მაგ.: „მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გავითვალისწინო მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები...“). ფაქტობრივად, საკუთარი სიტყვებით განმეორებით აღწერენ დავალებაში მოცემულ სიტუაციას.
- ❖ პრობლემის არსის არაადეკვატური გააზრება. მოსწავლეთა არათანაბარ ინდივიდუალურ შესაძლებლობებში, რომელიც ბუნებრივად გვხვდება ნებისმიერ კლასში, აპლიკანტები მოიაზრებენ შეზღუდულ შესაძლებლობებს და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, რის შესახებაც დავალებაში რეალურად არაფერია ნათქვამი. შესაბამისად, გვთავაზობენ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, რაც ამ შემთხვევისათვის არაადეკვატური სტრატეგიაა.
- ❖ ჯგუფური მუშაობა, როგორც უნივერსალური სტრატეგია. როგორც წესი, ამ აქტივობის დასახელება ხდება შინაარსის დაკონკრეტების და განხორციელების პროცედურის აღწერის გარეშე. თავისთავად ჯგუფური მუშაობა შეიძლება არ იყოს ეფექტური თუ ჯგუფები სწორად არ არის დაკომპლექტებული. ამიტომ, როდესაც აპლიკანტი არ განავრცობს მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს ჯგუფური მუშაობის გამოყენებას, რთულია იმსჯელო, რამდენად გააზრებულია მისი ცოდნა.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**

„ეფექტიანი სწავლება“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 51);

„სწავლება და შეფასება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 122-123);



„განვითარებისა და სწავლის თეორიები“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 33; გვ. 62).

## დავალება 25

მაქსიმალური ქულა – 3

### გარდამავალ ასაკთან დაკავშირებული პრობლემები



Nana Beridze

წელს მეშვიდე კლასი მომცეს სადამრიგებლოდ. კლასში ერთი გოგონაა, რომელიც ყველაფრის მიმართ ინდიფერენტულია, სწავლა არ აინტერესებს, გაკვეთილებს სისტემატურად აცდენს, და თუ ესწრება, ფიქრებშია გართული, სადღაც სხვაგანაა. როდესაც მის ძველ მასწავლებლებს ჩემი პრობლემა გავუზიარე, გაუკვირდათ, რადგან მოსწავლე ადრე ყოველთვის კარგად სწავლობდა. ვხვდები, რომ პრობლემა მოსწავლის გარდამავალი ასაკით არის გამოწვეული და ამიტომ რადიკალურ ზომებს არ მივმართავ.

იქნებ მირჩიოთ, რა გავაკეთო, როგორ დავაინტერესო მოსწავლე სწავლით?

■ მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • 14 მაისი, 17:19-ზე

**რას ვაფასებთ.** მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელს კარგად ესმოდეს ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიური თავისებურებები. სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია, რომ პედაგოგი კარგად აცნობიერებდეს მოსწავლის ასაკისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, რომელიც შეიძლება მისი ქცევის, სწავლის, საკუთარი თავისა და სხვებისადმი დამოკიდებულებების ცვლილების მიზეზი გახდეს. მოცემული დავალებით ფასდება, იცის თუ არა პედაგოგმა ბავშვის გარდამავალ ასაკთან დაკავშირებული თავისებურებებისა და ამ თავისებურებებით გამოწვეული პრობლემების შესახებ, აცნობიერებს თუ არა ამ დროს საკუთარი როლის მნიშვნელობას მოსწავლესთან ურთიერთობისას და იყენებს თუ არა ადეკვატურ სტრატეგიებს მასთან მუშაობის დროს.

**შეფასების კრიტერიუმები.** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა დავალების პირობის შესაბამისად: (1) უნდა აღწეროს ერთი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც

დაეხმარება მოსწავლეს სწავლისადმის ინტერესის გაღვივებაში (სასწავლო პროცესში ჩართვაში) და (2) უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ შეუწყობს ხელს მის მიერ დასახელებული სტრატეგია/აქტივობა დასახელებული პრობლემის მოგვარებას. 3 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და ორივე მითითებაზე სრულად არის გაცემული პასუხი: აღწერილია ერთი კონკრეტული სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლით სწავლით დაინტერესებას და დასაბუთებულია დასახელებული სტრატეგიის მართებულობა (დავალების შეფასების სქემა იხ. დანართი 3, გვ. 111.).

25-ე დავალების შეფასების პრინციპების უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ნიმუშებს.

**ნიმუში №1**

პასუხი შეფასებულია 3 ქულით

25. ვასეი იქნება, თუ მოსწავლეს ინტერესდება კავსკაძეში იქნება აქტივობები და სტრატეგია. სკოლის ეს დავალები უნდა მოხდეს მოსწავლეს, ასევე, თუ სკოლა სცემს, მოსწავლეს აქვს განწყობა. ასევე, შეეძლება სკოლა-დახმარება. სკოლაში ხელს იქნება აქტივობები ხელს მოსწავლეს დავალები შეასრულს. მოსწავლეს აქვს, უნდა იქნება დავალები, მოსწავლეს აქვს იქნება, ხელს იქნება დავალები. მოსწავლეს აქვს, უნდა იქნება დავალები. მოსწავლეს აქვს, უნდა იქნება დავალები. მოსწავლეს აქვს, უნდა იქნება დავალები.

**განმარტება.** წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტის მსჯელობა პირობის ადეკვატურია და უპასუხებს დავალების ორივე მითითებას - აღწერილია ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ადეკვატურია მოცემული სიტუაციისათვის და არგუმენტირებულია. პასუხში ნათლად ჩანს, რომ პედაგოგს კარგად ესმის გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. სწორად არჩევს სტრატეგიას და კარგად ასაბუთებს, თუ როგორ დაეხმარება მის მიერ გამოყენებული აქტივობა მოსწავლეს. შეფასების სქემის მიხედვით პასუხი შეფასდა 3 ქულით.

25. განსაზღვრეთ, რა არის სტრატეგია და რატომ არის მისი მნიშვნელობა. მასწავლებელმა ინდივიდუალური მუშაობის დროს გააჩვიოს მოსწავლის ინტერესს სწავლა-გაჩვიოს პრობლემის მიხედვით, რომ მასწავლებელი მასზე შეხვედრის შემდეგ სწავლისათვის ინტერესი. მისი სწავლა გამოხატავს სწავლის დასრულებას მისი ინტერესის სწავლიდან გამომდინარე, მათთვის, რომლებსაც მისი სწავლის შედეგად დაეხმარება. დაეხმარება მოსწავლეს მოსწავლეთა სწავლისათვის.

განმარტება. წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტი ასახელებს დავალებაში აღწერილი პრობლემის მოგვარების ადეკვატურ სტრატეგიას. გარდა ამისა, ჩანს, რომ მან იცის გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, მაგრამ პასუხი არ არის სრული. აპლიკანტი ამომწურავად ვერ უპასუხებს დავალების მეორე მითითებას (არ ჩანს ნათელი დასაბუთება). შექება, ინტერესის შესაბამისი დავალებების შერჩევა კარგი სტრატეგიაა, მაგრამ კარგად არ არის დასაბუთებული, თუ რატომ შეუწყობს ხელს აპლიკანტის მიერ დასახელებული სტრატეგია აღწერილი პრობლემის მოგვარებას. შეფასების სქემის მიხედვით მოცემული პასუხი შეფასდა 2 ქულით.

25. მოსწავლეს უნდა ეცნობოდეს სწავლის მნიშვნელობას, მოვიწვიოთ მისი მართა, მოვლათ, მის სწავლის შედეგად ეცნობოდეს, ეცნობოდეს მის შედეგად დასრულდა რა რეზონანსი სწავლის განხორციელებაში, ვსაქმობთ მისი სწავლის შედეგად. აუცილებელია მნიშვნელობა ზედა და დასრული სწავლა. და მოსწავლეს და მნიშვნელობა ზედა

განმარტება. აპლიკანტი მოცემულ ნიმუშში მხოლოდ პირველ მითითებას უპასუხებს. დასახელებულია გარდამავალი ასაკით გამოწვეული პრობლემის მოგვარების ხელშემწყობი სტრატეგიები (საუბარი მოსწავლესთან, მშობელთან; სასკოლო ღონისძიებებში ჩართვა) თუმცა, პედაგოგი არ აღწერს და არ აკონკრეტებს, თუ როგორ გამოიყენებს დასახელებულ სტრატეგიებს. მაგალითად, როგორ ჩართავს მოსწავლეს სასკოლო აქტივობებში. გარდა ამისა, აპლიკანტი არ პასუხობს დავალების მეორე მითითებას, არ ასაბუთებს სტრატეგიების მართებულობას. პასუხი საკმაოდ ზოგადია. ამიტომ, შეფასების სქემიდან გამომდინარე, პასუხი შეფასდა 1 ქულით.

ნიმუში №4

პასუხი შეფასებულია 0 ქულით

25. ~~მე ვსჯივარ იმ კომპანიის მიმართ რომელიც ვაჭარავს და  
დაცემს ჩემს ბიზნესს.~~

ნიმუში №5

პასუხი შეფასებულია 0 ქულით

25. ~~ასეთი მომსახურების მიწოდება ჩემი ბიზნესის მიმართ  
თუ ფიქრობთ, რომ მომსახურება ასეთი ხარისხით  
ეკონომიკური ფიზიკური-სოციალური და სხვადასხვა  
სფეროში უნდა ყოფილიყო და მომსახურება უნდა  
ეფექტური იყოს, ხოლო მომსახურება დაუზღვევდეს  
აღნიშნულ სფეროს.~~

განმარტება. მოცემული ნიმუშები ძალიან ზოგადი მსჯელობის მაგალითებს წარმოადგენს. ნიმუში №4 - დასახელებულია მხოლოდ ერთი სტრატეგია, რომელიც არ არის ადეკვატური. მეორე მითითებაზე კი - პასუხი საერთოდ არ არის. მოცემული მსჯელობიდან არ ჩანს, იცის თუ არა აპლიკანტმა გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და ესმის თუ არა მასთან დაკავშირებული პრობლემები. მეორე ნიმუშში (№5) აპლიკანტი ცდილობს ახსნას მოსწავლის ამგვარი ქცევის მიზეზი, თუმცა ამას ვერ ახერხებს და პრობლემის მოგვარებას სხვას ავალებს (უნდა მიმართოთ ფსიქოლოგს, ექიმს). აპლიკანტის მსჯელობიდან ჩანს, რომ მას კარგად არა აქვს დავალების პირობა გააზრებული. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი პასუხი არ აკმაყოფილებს დავალების პირობებს. შეფასების სქემის მიხედვით, მოცემული პასუხები შეფასებულია 0 ქულით.

დავალემა №25-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები:

- დავალების მითითებების უგულებელყოფა. საკმაოდ გავრეცელებულია პასუხები, რომელშიც აპლიკანტები აღწერის ნაცვლად (როგორც ამას დავალების მითითება მოითხოვს), სტრატეგიას მხოლოდ ასახელებენ. ამგვარად, ისინი ვერ ამჟღავნებენ დასახელებული სტრატეგიის შესახებ საკუთარ ცოდნას და ვერ იღებენ მაღალ შეფასებას.
- გამოყენებული სტრატეგიის/აქტივობის ადეკვატურობის დასაბუთება. ძალიან ხშირად გვხვდება პასუხები, რომლებშიც აპლიკანტები არ პასუხობენ

დავალების მეორე მითითებას – ისინი არ ასაბუთებენ მათ მიერ დასახელებულ თუ აღწერილ სტრატეგიას/აქტივობას. ასეთი ტიპის პასუხები ვერ ადასტურებს აპლიკანტის გააზრებულ ცოდნას და, შესაბამისად, არ იმსახურებენ ისინი მაღალ შეფასებას.

❏ ზოგადი მსჯელობა პრობლემაზე. ხშირად პასუხებში წარმოდგენილია ზოგადი მსჯელობა გარდამავალი ასაკის თავისებურებებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. ასეთ დროს აპლიკანტები ძირითადად დავალების პირობის პერიფრაზით შემოიფარგლებიან და არ აღწერენ პრობლემის მოგვარებისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს.

## დავალება 26

მაქსიმალური ქულა – 3

### გამოკითხვის ეზექტიანი სტრატეგიები



Erekle Giorgadze

უკვე მომბეზრდა, რომ მასწავლებელი არ მაცდის კითხვაზე პასუხის გაცემას. საკმარისია, ოდნავ შევყოვნდე ან არასწორად ვუპასუხო, მეუბნება - დაჯექი, არ იცი! იქნებ, ვიცი?!... გადავწყვიტე, საერთოდ აღარ ავიწიო ხელი!

სხვა მასწავლებლებმა მაინც ურჩიეთ, როგორ უნდა გაკვეთილის გამოკითხვა, ყველა ბავშვი ერთნაირად ხომ ვერ უპასუხებს?!

👍 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 22:45-ზე

**რას ვაფასებთ.** მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელს კარგად ესმოდეს საკუთარი როლი, როგორც ახალი მასალის ახსნის, ადეკვატური დავალების მიცემის, ასევე გამოკითხვის დროს. ძალიან ხშირად მოსწავლეს უჭირს საკუთარი ცოდნის გამოვლენა, დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად უფრო მეტი დრო სჭირდება და სხვ. სწორედ ამ დროს მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია პედაგოგის დახმარება, რაც გამოკითხვის ეზექტიანი სტრატეგიების გამოყენებაში გამოიხატება. მოცემული დავალებით ფასდება, იცის თუ არა პედაგოგმა როგორ უნდა მოიქცეს გამოკითხვის დროს და იყენებს თუ არა ამ ცოდნას საკუთარ პრაქტიკაში.

**შეფასების კრიტერიუმები.** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა დავალების პირობის შესაბამისად: (1) უნდა აღწეროს ერთი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც, გამოკითხვის დროს, მოსწავლეს დაეხმარება საკუთარი ცოდნის

მაქსიმალურად გამოვლენაში და (2) დაასაბუთოს, თუ რატომ შეუწყობს ხელს მის მიერ დასახელებული სტრატეგია/აქტივობა აღწერილი პრობლემის მოგვარებაში. 3 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და ორივე მითითებაზე სრულად არის გაცემული პასუხი: აღწერილია ერთი კონკრეტული სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ეფექტიან გამოკითხვას და დასაბუთებულია დასახელებული სტრატეგიის მართებულობა. (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. დანართი #3, გვ.113).

26-ე დავალების შეფასების პრინციპების უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ნიმუშებს.

**ნიმუში №1**

პასუხი შეფასებულია 3 ქულით

~~26. სკოლებს, მასწავლებლებს უნდა ექნებინათ გამოცდის დეტალური სტრატეგია, მოსწავლეს ის ასევე მოეძებნოს სამკარგოდ, რომ გამოცდის შედეგად დაეხმოს მოსწავლეს ჩინეთის გაცემის მიხედვით. მასწავლებლებს უნდა ექნებინათ გამოცდის დეტალური სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ეფექტიან გამოკითხვას და დასაბუთებულია დასახელებული სტრატეგიის მართებულობა. (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. დანართი #3, გვ.113).~~

**განმარტება.** წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტის მსჯელობა პირობის ადეკვატურია და უპასუხებს დავალების ორივე მითითებას - აღწერილია გამოკითხვის ეფექტიანი სტრატეგიები (მოსაფიქრებლად დროის მიცემა, შეკითხვის ნათლად ფორმულირება, შეკითხვის გამარტივება) და არგუმენტირებულია. პასუხში ნათლად ჩანს, რომ პედაგოგს კარგად ესმის გამოკითხვის მნიშვნელობა, ფლობს ცოდნას გამოკითხვის ეფექტიანი სტრატეგიების შესახებ. დასაბუთების ნაწილში სწორად მიუთითებს, თუ რატომ არის ადეკვატური დასახელებული სტრატეგია და რა დადებითი შედეგი მოჰყვება გამოკითხვისას მოსწავლის დახმარებას (იზრდება შინაგანი მოტივაცია და ბავშვი აქტიურად ერთვება სწავლის პროცესში). შეფასების სქემის შესაბამისად, პასუხი შეფასდა მაქსიმალური 3 ქულით.

ნიმუში №2

პასუხი შეფასებულია 2 ქულით

26. მასწავლებელი წიხვას რომ დაეხმოს მოსწავლეს, რომ ვერ  
 მისცეს მოხდენილია. აუ მოსწავლემ სწორად ვერ უძღვრეს  
 მნიშვნელობა, დამატებითი ყოთველით ვერ მოყვანოს სწორი  
 პასუხი. მოსწავლეს ავსოვს გაუხეხა სწავლით აქტიურად  
 ჩაებაოს სავსებითიოთი პროექტში  
 მასწავლებელმა ვერ გაითვალისწინა, რომ ვეკით ტავში  
 მითნაითი სინტაქსით ან აზროვნებს. მოტი ენადა, მოტი მსხვე  
 მათი ინტერქტიური გამოძიონა

განმარტება. წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტი ასახელებს დავალებაში აღწერილი პრობლემის მოგვარების ადეკვატურ სტრატეგიებს და კარგადაც აღწერს. თუმცა, სქემატურად უპასუხებს დავალების მეორე მითითებას - მისი დასაბუთება არ არის ამომწურავი, კარგად არ ჩანს, თუ რატომ შეუწყობს ხელს დასახელებული სტრატეგიები პრობლემის მოგვარებას, და რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლისათვის პასუხის გაცემისას პედაგოგის დახმარება. აპლიკანტის პასუხში ჩანს, რომ მას აქვს ცოდნა გამოკითხვის ეფექტური სტრატეგიების შესახებ, ზოგადად კარგად მსჯელობს დასმულ საკითხზე, მაგრამ პასუხი არ არის სრულყოფილი. შესაბამისად, პასუხი შეფასებულია 2 ქულით.

ნიმუში №3

პასუხი შეფასებულია 1 ქულით

26. მასწავლებელმა მოსწავლეს გეგმისეფია, ეხვერ ვერ  
 მოეკმინოს რე ვერ გაითვალისწინოს მკვლე მხარეზე  
 ალოხი შესტოვრობით რ ვნაია.  
 აუკითხა ვერ სურს ყველა აზრს, მოესტინოს მოიძიეს  
 ხო. მოსწავლეს ან ჩვევოს სწავლით სწავლით

განმარტება. მოცემული ნიმუში მოყვანილია ისეთი პასუხების საილუსტრაციოდ, რომლებშიც აპლიკანტი ზოგადად მსჯელობს გამოკითხვის დროს ბავშვისადმი დამოკიდებულებაზე. ასახელებს მხოლოდ ზოგად სტრატეგიას, ხოლო დავალების მეორე მითითებას საერთოდ არ პასუხობს. ნიმუშიდან ჩანს, აპლიკანტს აქვს ზოგადი წარმოდგენა გამოკითხვის მნიშვნელობაზე, მაგრამ იგი არ ასახელებს კონკრეტულ ქმედებებს. ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრული, ზედაპირული ცოდნა, ამიტომ, შეფასების სქემიდან გამომდინარე, პასუხი შეფასდა 1 ქულით.

26.

|            |            |            |            |            |            |
|------------|------------|------------|------------|------------|------------|
| საქართველო | საქართველო | საქართველო | საქართველო | საქართველო | საქართველო |
| საქართველო | საქართველო | საქართველო | საქართველო | საქართველო | საქართველო |
| საქართველო | საქართველო | საქართველო | საქართველო | საქართველო | საქართველო |
| საქართველო | საქართველო | საქართველო | საქართველო | საქართველო | საქართველო |

განმარტება. მოცემული პასუხი არ არის დავალების პირობის ადეკვატური. აპლიკანტი აფასებს პედაგოგის ქმედებას და ძალიან ზოგად, არაადეკვატურ სტრატეგიას (გაეცნოს სტანდარტს) გვთავაზობს. დავალების პირობის მიხედვით, აპლიკანტს უნდა დაესახელებინა გამოკითხვის კონკრეტული სტრატეგია და დაესაბუთებინა მისი მართებულობა, რაც პასუხში საერთოდ არ არის მოცემული. მსჯელობა ძალიან ზოგადია და არ პასუხობს დავალების მითითებებს. შეფასების სქემის მიხედვით, მოცემული პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

დავალება №26-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები:

- გამოყენებული სტრატეგიის/აქტივობის ადეკვატურობის დასაბუთება. ძალიან ხშირად გვხვდება ნაშრომები, რომლებშიც აპლიკანტები არ უპასუხებენ დავალების მეორე მითითებას – ისინი არ დასაბუთებენ მათ მიერ დასახელებულ თუ აღწერილ სტრატეგიას/აქტივობას. ამგვარი პასუხის საფუძველზე რთულია აპლიკანტის გააზრებული ცოდნის შესახებ მსჯელობა და ნაშრომი მაღალ შეფასებას ვერ იმსახურებს.
- ზედაპირული პასუხები. საკმაოდ გავრცელებულია პასუხები, რომლებშიც დავალების ორივე მითითებაზე პასუხი სქემატურია. სტრატეგია ხშირ შემთხვევაში მხოლოდ დასახელებულია და არგუმენტაციაც ძალიან ზოგადია, საიდანაც კარგად არ ჩანს აპლიკანტის ცოდნა.
- ზოგადი მსჯელობა. ასევე, ხშირია პასუხები, რომლებშიც მოცემულია ზოგადი მსჯელობა გამოკითხვის მნიშვნელობაზე, შეფასებულია პედაგოგის ქმედება, მაგრამ არ არის მოცემული პრობლემის მოგვარების გზა.

რეკომენდებული ლიტერატურა:





თამარ ფორჩხიძე

ხშირად მესმის, რომ ზოგიერთი მშობელი კატეგორიულად წინააღმდეგება ბავშვის დასჯას სკოლაში. მე კი მასწავლებელს თავადვე ვთხოვ, მკაცრად მოექცეს ჩემს შვილს და როცა საჭიროა, დასაჯოს კიდეც - კარგად დატუქსოს... ძალადობის და ცემის წინააღმდეგი მეც ვარ, მაგრამ ვფიქრობ, ზედმეტი ლოიალობაც არ არის სასურველი. ჩემი მოსწავლეობის პერიოდში ბავშვებს მკაცრად სჯიდნენ, მაგრამ ამას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა - უფრო დისციპლინირებულები ვიყავით და უკეთესადაც ვსწავლობდით.

ორ საკითხთან დაკავშირებით მაინტერესებს თქვენი აზრი: (1) რატომ ითვლება, რომ დასჯა ძალიან იშვიათად ან თითქმის არ უნდა გამოიყენებოდეს და (2) დასჯის გარეშე როგორ უნდა აღმოვფხვრათ ბავშვის ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები?!

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 21:20-ზე

**რას ვაფასებთ.** მოსწავლის ქცევის მართვა ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. ამ მიზნით სასკოლო პრაქტიკაში ჯერ კიდეც ხშირად მიმართავენ დასჯის მეთოდს. როგორც ცნობილია, სასჯელი ქცევის შეცვლის არაეფექტური მეთოდია. მან შეიძლება დროებით ჩაახშოს ქცევა, მაგრამ ვერ შეძლებს მის სრულად აღმოფხვრას. მასწავლებელი უნდა იცნობდეს და იყენებდეს ქცევის კონტროლის ალტერნატიულ მეთოდებს. მასწავლებლის ქმედებები მიმართული უნდა იყოს სასურველი ქცევის განმტკიცებაზე და არა არასასურველი ქცევის დასჯაზე. მოცემული დავალეზა აფასებს, რამდენად კარგად აცნობიერებს აპლიკანტი, თუ რა უარყოფით შედეგებს იწვევს დასჯა და როგორია ქცევის კონტროლის ალტერნატიული მეთოდები.

**შეფასების კრიტერიუმები.** დავალეზა 3-ქულიანია. აპლიკანტმა დავალეზის პირობის შესაბამისად: (1) ადეკვატურად არის ახსნილი, რატომ ითვლება, რომ დასჯა ძალიან იშვიათად ან თითქმის არ უნდა გამოიყენებოდეს; (2) აღწერილია დასჯის

ალტერნატიული მეთოდი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად. 3 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორადაა გააზრებული და ორივე მითითებაზე სრულად არის გაცემული პასუხი. ამასთან, მსჯელობა შეიცავს დასაბუთების კომპონენტს თუნდაც ერთ ან ორივე მითითებაზე (თუ აპლიკანტი საკუთარ მსჯელობას/მოსაზრებას ასაბუთებს დასჯის არაეფექტურობის ან მისი ალტერნატიული მეთოდის ახსნის დროს). (დავალების შეფასების სქემა იხ. დანართი #3, გვ.115).

27-ე დავალების შეფასების პრინციპების უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ნიმუშებს.

ნიმუში № 1

პასუხი შეფასებულია 3 ქულით

27. ქ ქულა იტვირთება უნდა გამოიყენოს მსჯელებმა ხარ  
 იყუბო შეფასებას ქსნის ანბათონს, აუხო მეფის, ზაზა, მუთაყა, მთავაყოფ  
 დახეობის, იმთავითაგონის ვიხიჯება, სხვალ უნს-სეკალ ზეგოჯოთ ასეი, მუტ-  
 ები უი ხმსხე ვახ უიმეჯან სხვალ შიფის კანო ზეგოჯებს.  
 2) დასჯის ებუბი უი ზესიქებოთოთი შიქეი მოხბოეკ ქსნე  
 ქსეკის რა ყოფეი ნახეკონს ვან მამსეიქებოთი სეიმოლიბი, მხახეკა,  
 მოფოკოთი ამ ქსილ შიქიქი, მოქიშეკმეხე ხაქ ასსხეხე სსხეჯო  
 მოხბოეკ, მსინხ ხეკან თაქეკოქოქონ ასეი სსხეკის გეკიქი  
 მოხბოეკნეკიქიქიქი. იქმბო- მუქეკიქი. დ ზესიქებოთიქიქი.

განმარტება. მსჯელობა პირობის ადეკვატურია და უპასუხებს დავალების ორივე მითითებას. აპლიკანტი პასუხის პირველ ნაწილში აღწერს, რა უარყოფითი შედეგები შეიძლება გამოიღოს დასჯამ. მეორე მითითების პასუხად კი გთავაზობს დასჯის ალტერნატივას და მართებულად ასაბუთებს მის ეფექტურობას. შეფასების სქემის მიხედვით პასუხი შეფასდა მაქსიმალური – 3 ქულით.

ნიმუში № 2

პასუხი შეფასებულია 2 ქულით

27. 1. დასჯა უახლოვნიდან მოქმედებს. ზაქარის ვანდობისას და ვისი-  
ტილიცაა. ნიჭი და იმედი, სადაც თავი წაუვარდნი, ემინა მისი  
თავისუფლად გამოთქმა, დასჯის ერთეულები, იმედიდან მივყა-  
გახო იმ შედეგად, სადაც ვერც მოვალისა დასჯისა.

2. შევადგინოთ ავტოსნათ მითბემათან დაავადებულ სკოლებზე  
ხა უფრო მართებულა და ხა მოს. პანსონი. ამ მეთოდის  
გამოყენებით დროს განმავლობაში აუცილებლად ექნება  
შედეგი მითბეგმის აუცილებლობა.

განმარტება. მოცემულ ნიმუშში აპლიკანტი სრულყოფილად გადმოსცემს, თუ რატომ  
არის დასჯა არაეფექტური სტრატეგია და რა უარყოფითი შედეგები შეიძლება ჰქონდეს  
მას, მაგრამ ის ძალიან ბუნდოვნად აღწერს ალტერნატიულ სტრატეგიას, შესაბამისად,  
დასაბუთებაც ზედაპირული და სქემატურია (დროთა განმავლობაში აუცილებლად  
ექნება შედეგი). ამრიგად, შეფასების სქემის მიხედვით, იმის გამო, რომ ერთ  
მითითებაზე პასუხი სრულყოფილია, მაგრამ მეორეზე სქემატური, პასუხი შეფასდა 2  
ქულით.

ნიმუში №3

პასუხი შეფასებულია 1 ქულით


27. მისთვის რომელი პირობები უნდა შეიქმნას, რომ მისთვის  
დასჯის მეთოდის გამოყენება მოხერხდეს, რათა მისთვის უფრო მისი მეთოდის  
იმედი, რომ მისთვის მისთვის უნდა განსჯა.  
თუ მისთვის უნდა შეიქმნას პირობები, რომლებიც დასჯის მეთოდის  
გამოყენებას უწყობს, მაშინ მისთვის უნდა შეიქმნას პირობები, რომლებიც  
დასჯის მეთოდის გამოყენებას უწყობს. მისთვის უნდა შეიქმნას პირობები,  
რომლებიც დასჯის მეთოდის გამოყენებას უწყობს. მისთვის უნდა შეიქმნას  
პირობები, რომლებიც დასჯის მეთოდის გამოყენებას უწყობს. მისთვის უნდა  
შეიქმნას პირობები, რომლებიც დასჯის მეთოდის გამოყენებას უწყობს.

განმარტება. მოცემულ პასუხში აპლიკანტი ძალიან ზოგადად მსჯელობს, თუ როგორ  
უნდა რეაგირებდეს პედაგოგი მოსწავლის ქცევაზე. იგი ასახელებს ორ ადეკვატურ  
სტრატეგიას, რომელთა გამოყენებაც შეიძლება დასჯის ნაცვლად (იგნორირება და  
ქესტიკულაცია), უფრო ვრცლად აღწერს არაადეკვატურ სტატეგიას, რომელიც ასევე  
დასჯის მაგალითია, დავალების პირობის მიხედვით კი აპლიკანტს ეს არ მოეთხოვება.  
ამკარად ჩანს დირექტიული მართვისადმი პედაგოგის პოზიტიური განწყობა, რაც

სწავლის თანამედროვე თეორიების მიხედვით გაუმართლებელია. ამრიგად, შეფასების სქემის მიხედვით, პასუხი შეფასდა 1 ქულით.

ნიმუში № 4

პასუხი შეფასებულია 0 ქულით



განმარტება. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს დავალების პირობა სწორად არა აქვს გააზრებული. დავალება არ მოითხოვს აპლიკანტისაგან დასჯის სახეების ჩამოთვლას და მაგალითების მოტანას. როგორც აღვნიშნეთ პასუხი ფოკუსირებული უნდა იყოს ქცევის კონტროლზე დასჯის გარეშე, ისეთი მეთოდებით, როგორებიცაა განმტკიცება, წახალისება, იგნორირება და ა.შ. პასუხის მეორე ნაწილშიც აპლიკანტი რეკომენდაციის სახით ისევ დასჯის სხვადასხვა სახეს გვთავაზობს. იმის გამო, რომ ნაშრომი არ პასუხობს დავალების არც ერთ მოთხოვნას, შეფასების სქემის მიხედვით, ის შეფასდა 0 ქულით.

დავალება № 27-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

▶ დავალების პირობის პერიფრაზი. აპლიკანტები ვრცლად მსჯელობენ იმის შესახებ, რომ დასჯა არაეფექტური სტრატეგიაა, რომ იგი არ უნდა გამოიყენებოდეს სწავლების პროცესში და ა.შ. ამის შესახებ დავალებაში უკვე აღნიშნულია, ამიტომ პასუხს ვერაფერს მატებს.

▶ პირობის არასრულყოფილი გააზრება. აპლიკანტები პასუხის დიდ ნაწილს უთმობენ დასჯის სახეების განხილვას, მოჰყავთ მაგალითები, საიდანაც ხშირად ჩანს, რომ პოზიტიური და ნეგატიური დასჯა არასწორად აქვთ გაგებული. ისინი გვთავაზობენ დასჯის უფრო „მსუბუქ“ ფორმებს (ბიბლიოთეკაში გაშვება,

საკლასო ოთახის დალაგება). ასეთი მსჯელობა ყველა აღწერილ შემთხვევაში არაადეკვატურია, რადგან კითხვა ეხება არა დასჯის სახეებს, არამედ მის ალტერნატიულ სტრატეგიებს.

➤ სტრატეგიის აღწერის ნაცვლად მხოლოდ მისი დასახელება. საკმაოდ გავრცელებულია პასუხები, რომლებშიც მხოლოდ დასახელებულია ქცევის კონტროლის სტრატეგიები. ამის გამო ძნელია განისაზღვროს, რამდენად სწორად აქვს გააზრებული აპლიკანტს ტერმინის არსი (მაგ., „გამოვიყენებ ნეგატიურ განმტკიცებას, იგნორირებას“ და ა.შ.).

### რეკომენდებული ლიტერატურა:

„ეფექტიანი სწავლება“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 283-297);

„განვითარებისა და სწავლის თეორიები“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 88).

## დავალება 28

მაქსიმალური ქულა – 3

### ჯანსაღი ცხოვრების წესი



ლაშა მესხი

ჯანმრთელობა მოზარდის ჰარმონიული განვითარებისა და შრომისუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჯანსაღი ცხოვრების წესი ადამიანის ღირებულებად რომ იქცეს, ამაზე ოჯახი და სკოლა ერთობლივად უნდა ზრუნავდეს. მეთერთმეტე კლასს ვასწავლი და მყავს მოსწავლეები, რომლებმაც უკვე დაიწყეს თამბაქოს მოწევა. დარწმუნებული ვარ, ასეთი პრობლემების წინაშე თქვენც მდგარხართ.

რა უნდა გავაკეთოთ პედაგოგებმა, როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა სრულიად შეგნებულად მისდიონ ჯანსაღი ცხოვრების წესს?!

📖 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 20:40-ზე

**რას ვაფასებთ.** ჯანსაღი ღირებულებების ფორმირებასა თუ ცხოვრების წესის არჩევაში მოსწავლეებს მნიშვნელოვან დახმარებას უნდა უწევდეს სკოლა ოჯახთან ერთად.

პროფესიული სტანდარტიც მასწავლებლისგან მოითხოვს მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაში ხელშეწყობას. ეს დავალება ამოწმებს, რამდენად კარგად იცნობენ მასწავლებლები მოსწავლეთათვის ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშემწყობ სტრატეგიებს, იციან თუ არა მათ, რომ მოსწავლეებისთვის ყოველდღიური კვების, დასვენების თუ ვარჯიშის რეჟიმზე მიჩვევა არის ჯანსაღი ცხოვრების წესის მიჩვევის მყარი საფუძველი და, თუ იციან, როგორ იყენებენ ისინი ამ ცოდნას საკუთარ პრაქტიკაში.

**შეფასების კრიტერიუმები.** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) უნდა აღწეროს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ერთი კონკრეტული სტრატეგია და (2) უნდა დაასაბუთოს საკუთარი პასუხი - განმარტოს, რატომ, როგორ შეუწყობს ხელს მის მიერ დასახელებული სტრატეგია მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, მაქსიმალური 3 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და ორივე მითითებაზე სრულად არის პასუხი გაცემული: აღწერილია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ერთი კონკრეტული სტრატეგია და პასუხი დასაბუთებულია (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. დანართი №3, გვ.118). 28-ე დავალების შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ზოგიერთ ნიმუშს.

ნიმუში №1

პასუხი შეფასებულია 3 ქულით.

*28. მასწავლებელმა მონაწილე დაფემი სთხოვათ იწერებოდათ გაცემული ჭანსაღი ცხოვრების წესის პასუხი. პასუხში მოსწავლეს სთხოვეს მოემსახურა არს. ფუნქციონირებს პერსონალს (ხედავს) მასწავლებელი (არაა) ნაკლებად, აღწერილი. მასწავლებელმა შენიშვნა შეიტანა ხედავს უსაფრთხოება, გაიძვირებინა მათ მუცელზე მოქმედებათ ეს ჭანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. მთავარი დასაბუთება ხელსეხება ვითარებას იმდენად, მომხდებოდა აქამდე სასაქონლო და მისთან მოლოდინს კონსტრუქციის ნაკლებობას. მთავარი დასაბუთება აქამდე ვაშლისა და სოფლის მეურნეობის სოფლის ჭანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. შედეგად, მასწავლებელმა, მთავარი, ხოლოცა მსაჯულთა და მასწავლებელმა აქვიზობა მომხდებოდა აქვიზობა და მსაჯულთა ემთხვევათ. ეს მასწავლებელმა იწერებოდა მათ კარგად დამსახურებულ და დამსახურებულად აღწერა გთავაზობთ.*

განმარტება. აპლიკანტი ადეკვატურად ასახელებს და კარგად აღწერს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბების ხელშემწყობ კონკრეტულ სტრატეგიას

(პროექტის მომზადება თამბაქოს, ნარკოტიკის, ალკოჰოლის მოხმარების უარყოფით შედეგებზე), საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მას კარგად ესმის, რა აქტივობებით არის შესაძლებელი მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობის მიღწევა. ამასთან, ის დამაჯერებლად მსჯელობს მის მიერ არჩეული სტრატეგიის ეფექტურობაზე. წარმოდგენილი ნიმუში ამომწურავად პასუხობს დავალების მითითებებს, მსჯელობა ლოგიკური და დამაჯერებელია. შესაბამისად, ნაშრომი შეფასებულია 3 ქულით.

ნიმუში №2

პასუხი შეფასებულია 2 ქულით.

28. ქსნსკოე ნოეა შვეიცარია უხი მუი ვისუხიო, ვაჩენოა და ევკინოა ტანლი სხოვ-რიოი ნაქე. აჩივი ვისუხიო ეჩიოში უავე მოუნოა იმ შა ტანსო ჩიხიბუნე, ხობოეოე უავე მოუნაჩ და სეხიხე/ ექშირ აქშირი სოსოუნსოი და ტაშხიეოთბუნ. მიქეა და ვახოვი ვააქიონ ძიბი ჩიოქეებო, ხიე შა ნაქოევენს უხი ვაქიბუნე მატანსოი ტეოებოი მიქიე. შვეიცარია და შვეიცარია ნაქანსოიოა, ხაა ჩიქიონ სპიქოქო სხოვხეაჩ. დაქეა და ნაქიონ მოქეეო ექიე მუე ჩიქიონსაქ მოსსკეაბი

განმარტება. აპლიკანტი ასახელებს სტრატეგიას (საუბარი მოსწავლეებთან), რომელიც გარკვეულ საკითხებთან მიმართებით შესაძლოა ეფექტიანი გამოდგეს, თუმცა დავალების პირობაში დასმული პრობლემის გადასაჭრელად საკმარისი ვერ იქნება. პასუხის მეორე ნაწილში აპლიკანტი სხვა სტრატეგიებსაც (პროექტი, სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა) ასახელებს, მაგრამ ის არ განმარტავს, როგორ დაგეგმავდა მათ. ზედაპირულია ასევე აპლიკანტის მიერ არჩეული სტრატეგიების ეფექტურობის დასაბუთებაც, არ არის განმარტებული, რატომ მიაჩნია, რომ დასახელებული სტრატეგია გამოიღებს სასურველ შედეგს. შეფასების სქემის თანახმად, ნაშრომი იმსახურებს 2 ქულას, ვინაიდან პასუხი მოიცავს ორივე კომპონენტს, თუმცა, ორივე მითითებაზე პასუხი ზედაპირული, სქემატურია.

ნიმუში №3

პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

28. შეიძლება ასეთი მოსწოდებები სკოლაში, ჩაჯგუფება მონაცემების  
 განმარტებას აწარმოებ.  
 მასწავლებლებს ამ მხარის გეგმის განხორციელება ხშირად ჩაბ-  
 ზრის საუბრები, პოინტის ექიმები, ხოლო ბოლო უბნებში მოსწო-  
 დებებს, თუ ჩას იხვევს მონაცემები და შეიძლება ამ მხარე ჩვევები  
 გათავისუფლებს.  
 გამოვსახათ სკოლაში სტრუქტურა, სადაც ნებისმიერ იქნება  
 თანამშრომლის მათემატიკა.

განმარტება. აპლიკანტი ზოგადად მსჯელობს თამბაქოს მავნებლობის შესახებ, მხოლოდ ასახელებს რამდენიმე სტრატეგიას და მიიჩნევს, რომ თამბაქოს მოხმარების უარყოფით შედეგებზე მასწავლებლისა და ექიმის საუბრებით მოსწავლეები გათავისუფლებიან მავნე ჩვევისაგან. აპლიკანტის მიერ ჩამოთვლილია რამდენიმე, თუმცა, მსგავსი პრობლემის გადასაჭრელად ნაკლებად ეფექტური სტრატეგიები და არც ერთი დასაბუთებული არ არის. შეფასების სქემის თანახმად, ნაშრომი ფასდება 1 ქულით.

ნიმუში №6

პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

28. მოსწავლეებს არაა უნდა დაეხმოს ვინა და  
 ყველა მსჯელობა უნდა და ახერხდეს ქვემოთ  
 მათი უნდა.

განმარტება. წარმოდგენილი ნიმუში შეფასდა 0 ქულით, ვინაიდან აპლიკანტი ასახელებს მხოლოდ ერთ სტრატეგიას. სტრატეგია ადეკვატურია, მოსწავლეებისათვის ჯანსაღ და არაჯანსაღ ცხოვრებას შორის სხვაობის თვალსაჩინოდ ჩვენება გარკვეულ წარმოდგენებს შეუქმნის მათ და ღირებულების ჩამოყალიბებაში დაეხმარება, თუმცა აპლიკანტის პასუხში ეს აზრი გავრცობილი არ არის, მხოლოდ დასახელებულია. არც რაიმე სხვა სტრატეგია არ არის დასახელებული, შეფასების სქემის მიხედვით კი 1 ქულა მხოლოდ იმ შემთხვევაში იწერება, თუ აპლიკანტი დაასახელებს ორ ან ორზე მეტ სტრატეგიას.

დავალემა №28-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- ❖ ზოგადი მსჯელობა. ხშირად აპლიკანტები მსჯელობდნენ მოზარდის ორგანიზმზე თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკის მავნე ზემოქმედების შესახებ; აგრეთვე როდენ მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში ბავშვისთვის ჯანსაღი ცხოვრების



წესის მიჩვევა, მაგრამ არ აღწერდნენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც ამ მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**

გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით GHPP-ისა და არასამთავრობო ორგანიზაციის „საზოგადოებრივი გაერთიანება ბემონის“ მიერ მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის მომზადებული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა.

|                   |                      |
|-------------------|----------------------|
| <b>დავალბა 40</b> | მაქსიმალური ქულა – 3 |
|-------------------|----------------------|

მოსწავლე ავადმყოფობის შემდეგ პირველად წავიდა სკოლაში. პირველივე გაკვეთილზე მასწავლებელმა კლასში დამოუკიდებელი სამუშაო ჩაატარა. მოსწავლემ სამუშაოს შესრულება კლასთან ერთად დაიწყო, მაგრამ მალევე შეწყვიტა. მასწავლებელი მიხვდა, რომ იგი გაცდენების გამო თანაკლასელებს ჩამორჩა სამუშაოს თავს ვეღარ ართმევს.

- გააანალიზეთ მოსწავლის პრობლემა ვიგოტსკის თეორიაზე დაყრდნობით.
- აღწერეთ აქტივობა, რომელიც, ვიგოტსკის თეორიის თანახმად, უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა იმისათვის, რომ დაეხმაროს მოსწავლეს პრობლემის დაძლევაში. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**რას ვაფასებთ.** მოცემული დავალბა აფასებს იმას, თუ რამდენად კარგად იცნობს პედაგოგი ლევ ვიგოტსკის სოციო-კულტურულ თეორიას და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება საკუთარ პრაქტიკაში. ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, ბავშვის განვითარება კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ გარემოში ხდება. ბავშვის ფსიქიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სხვებთან ურთიერთობა და მათი დახმარება. სკოლაში, სადაც ბავშვის კოგნიტური განვითარება მიმდინარეობს,

წამყვან როლს ასრულებს ბავშვის კომპეტენტურ ადამიანებთან ურთიერთობა. სწავლის პროცესის ეფექტიანობას სწორედ სხვათა დახმარება განსაზღვრავს.

**შეფასების კრიტერიუმები.** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა დავალების პირობის შესაბამისად: (1) ვიგოტსკის თეორიაზე დაყრდნობით უნდა გაანალიზოს დავალებაში აღწერილი სიტუაცია; (2) უნდა დაასახელოს ამავე თეორიის შესაბამისი აქტივობა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს სირთულის დაძლევაში და იმსჯელოს დასახელებული აქტივობის მართებულობაზე. 3 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, ორივე მითითებაზე სრულად არის გაცემული პასუხი და ჩანს ვიგოტსკის თეორიის ცოდნა (დავალების შეფასების სქემა იხ. დანართი 3, გვ.120).

\*დავალება ფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული სიტუაცია განხილულია ვიგოტსკის თეორიაზე დაყრდნობით.

მე-40 დავალების პრინციპების უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ნიმუშებს.

ნიმუში №1

პასუხი შეფასებულია 3 ქულით

40. ვიგოტსკის თეორიის დანახვად ვინიშნავთ მოსწავლის რეალური შესაძლებლობები წინაშე შესაძლებლობებს ჰაზონსება, როგორც მოსწავლესთან მის აზვებს ისეა დასაძვად ყნა მოქმედ, როგორც მისი „განვიანება ყანდოესი ნიონი“ ვინიშნება და დასაძვად დი-ნდოა ვინიშნებაა ვინიშნება იგი წინაშე დანახვად ვიგოტსკის თეორია ყანდოესი ვინიშნება დასაძვად ყნა ვინიშნებაა ვინიშნებაა მოსწავლის შესაძლებლობებს და ანაა ვინიშნებაა ვინიშნებაა ვინიშნებაა, ვინიშნებაა ვინიშნებაა ვინიშნებაა ვინიშნებაა. ვინიშნებაა ვინიშნებაა ვინიშნებაა ვინიშნებაა. ვინიშნებაა ვინიშნებაა ვინიშნებაა ვინიშნებაა.

40. ვიგოტსკის თეორიის მიხედვით მოსწავლე სწავლობს განვითარების უმაღლეს წიგნში. იმისთვის რომ მოსწავლემ სამუშაო შესრულოს მასწავლებელს დახმარება გარეშე უნდა იყოს აქტუალური წიგნში. მან ვერ შეძლო დახმარება გარეშე სამუშაო შესრულება. ის განვითარებას უმაღლეს წიგნშია და მასწავლებლის მოთხოვნა სჭირდება.

მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი და მნიშვნელოვანი დახმარება მოსწავლეს სწავლის შესრულებაში.

მოსწავლე არ იყო სწავლის, ჩამორჩა სხვა სწავლის და მასწავლებლის დახმარებას გარეშე ვერ შეძლო შესრულება დაგეგმა.

განმარტება. წარმოდგენილ ორივე ნიმუშში აპლიკანტები კარგად აანალიზებენ მოცემულ სიტუაციას ვიგოტსკის თეორიის მიხედვით. პასუხებში ნათლად ჩანს, რომ აპლიკანტებს ესმით, რატომ ვერ დაძლია მოსწავლემ დავალება. მსჯელობაში კარგად არის აღწერილი მოცემული პრობლემის მიზეზი, რომელიც მოსწავლისა და თანაკლასელების განვითარების ზონების (უახლოესი და აქტუალური) აცდენაში გამოიხატება. გარდა ამისა, ორივე ნიმუშში დასახელებულია ადეკვატური სტრატეგიები (ხარაჩოს მეთოდი, დავალებების თანდათანობით გართულება), რომელიც მოცემულ სიტუაციაში უნდა გამოიყენოს პედაგოგმა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოცემული ნიმუშები (N1, 2) დავალების პირობის ადეკვატური და ამომწურავია. აპლიკანტი უპასუხებს დავალების ორივე მითითებას და, ამასთან, ავლენს ვიგოტსკის თეორიის ცოდნას. ამიტომ პასუხი შეფასდა მაქსიმალური – 3 ქულით.

40. მოსწავლის პრობლემა ის რომ უყრდნობის გამო ჩამორჩა სწავლის პროცესში.

მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს „ხარაჩოს მეთოდი“ ანუ მოსწავლე დაეცემა სწავლის პროცესში და მოსწავლე გამოიყენებოდეს ვიგოტსკის თეორიის, შემდეგ ვიგოტსკის თეორიის და მოსწავლე უნდა ვერ შეძლოს თანაკლასელებთან მიყვანის სწავლის პროცესში. ყოველი მომდევნო დავალება უნდა ეყრდნობოდეს მოსწავლის წინაგონებას.

უნდა მოახდინოს ყოველი კონსტრუქციური და იყოს მოსწავლემ, ჩამორჩა და რა დაეხმარებოდეს. ეს არის მასწავლებლის დახმარება იმისთვის, რომ უყრდნობის დავალებას შეძლოს გადავლილი.

განმარტება. წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტი, ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, სწორად ასახელებს სტრატეგიას, რომელიც დაეხმარება დავალებაში აღწერილი პრობლემის მოგვარებაში. იგი მიუთითებს, რომ მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ხარაჩოს მეთოდი - მისცეს დავალება, რომელსაც თავს გაართმევს და შემდეგ გაართულოს. საჭიროების შემთხვევაში მისცეს მითითებები. თუმცა, მოცემულ მსჯელობაში არ არის გაანალიზებული წინარე სიტუაცია, არ არის პასუხი პირველ მითითებაზე. მოცემული ნიმუში მიუთითებს, რომ აპლიკანტს ესმის ვიგოტსკის თეორია და ახერხებს პრაქტიკაში მის გამოყენებას, მაგრამ პასუხი არ არის სრული. შეფასების სქემის მიხედვით, პასუხი შეფასდა 2 ქულით.

ნიმუში №4

პასუხი შეფასებულია 1 ქულით

40. ხაჯან მოსწვევ ვის ატეხებს დამოუკიდებლად გააჩვენს  
 აუცი საშუალო. ვეფოქსის თითის თანხმად ეს მოსწვევ იმყოფება  
 ვეფოქსის თანხმად.  
 ამ ძროს პასუხიდან ვინა ვამოყენოს "ხაჯანის" ტერმინი.  
 დანახის მოსწვევს ხაჯან მოსწვევს ტერმინი დამოუკიდებლად საშუალო  
 შეხედვ. ხაჯანს მოსწვევს ტერმინი დამოუკიდებლად საშუალოს ტ-  
 სხვადასხვა ტერმინის თანხმად

განმარტება. მოცემულ ნიმუშში აპლიკანტი ვერ აანალიზებს დავალებაში აღწერილ სიტუაციას ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, შესაბამისად, არ არის პასუხი პირველ მითითებაზე. ხოლო რაც შეეხება მეორე მითითებას, სწორად ასახელებს სტრატეგიას, მაგრამ არ არის კარგად აღწერილი. აპლიკანტის პასუხი საკმაოდ სქემატურია, ტერმინები არ არის სწორად დასახელებული (მაგალითად, განვითარების მიახლოებითი ზონა). შეიძლება ითქვას, რომ მსჯელობაში არ ჩანს ვიგოტსკის თეორიის სრულყოფილი ცოდნა. შესაბამისად, პასუხები შეფასებულია 1 ქულით.

ნიმუში №5

პასუხი შეფასებულია 0 ქულით

40. ავადმყოფობის და გაყვანის შემდეგ მოსწავლეს ვაფორმის  
 დავალებს რამოტივებში შესვლა. მან შესწავლა დავალებს  
 შესვლა, ხოლო სწავლა ინფორმაცია ვის მიიღია ვაფორმის  
 ვაფორმის გამო. მოსწავლეს ენა გამახად რძიუთ ვაფორმის  
 მისი დავალებს. რძიუთ ვაფორმის მოსწავლეს ავადმყოფობის  
 და შესწავლა რძიუთ ვაფორმის, ხოლო ვაფორმის მოსწავლეს  
 ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის - ვაფორმის, ინფორმაციის ვაფორმის  
 და ვაფორმის ხაზ მის ვაფორმის და ვაფორმის ვაფორმის  
 რამოტივებში შესვლა. ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის

ნიმუში №6

პასუხი შეფასებულია 0 ქულით

40. ახლობელს ის ახს, რომ დამოუკიდებლად ვის ვაფორმის ვაფორმის  
 მოსწავლეს ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის. მოსწავლეს  
 ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის, ვაფორმის ვაფორმის  
 ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის  
 ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის ვაფორმის

განმარტება. მოცემული ნიმუშები არ უპასუხებს დავალების მითითებებს, პირობის არაადეკვატურია. სიტუაცია არ არის ვიგოტსკის თეორიის მიხედვით გაანალიზებული. აპლიკანტები ცდილობენ, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელონ მოცემულ პრობლემაზე, თუმცა, ამასთან, ეს მსჯელობები არ არის ლოგიკური და თანმიმდევრული. ასახელებენ სტრატეგიებს, რომლებიც მოცემული პრობლემისთვის ნაკლებად ადეკვატურია. პასუხებიდან ჩანს, რომ აპლიკატს კარგად არა აქვს გააზრებული დავალების პირობა და აღწერილი პრობლემა. წარმოდგენილი ნიმუშებიდან ძნელია იმსჯელო, იცის თუ არა აპლიკანტმა ვიგოტსკის თეორია. პასუხი შეფასდა 0 ქულით.

დავალება № 40-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები: არასრული პასუხები.

- არასრული პასუხები. პასუხი არის დავალების მხოლოდ ერთ მითითებაზე - გაანალიზებულია დავალებაში აღწერილი სიტუაცია ვიგოტსკის თეორიის მიხედვით და აპლიკანტი არ უპასუხებს მეორე მითითებას, ან უპასუხებს მხოლოდ მეორე მითითებას - ასახელებს ერთ ადეკვატურ სტრატეგიას და აღწერს მას.

- ✦ სქემატური პასუხები. აპლიკანტი ღრმად ვერ აანალიზებს და კარგად ვერ ხსნის სიტუაციას ვიგოტსკის თეორიაზე დაყრდნობით. იყენებს ვიგოტსკისეულ ტერმინებს, თუმცა რჩება შთაბეჭდილება, რომ მას კარგად არ ესმის მათი მნიშვნელობა. ხშირ შემთხვევაში, ასეთ პასუხებს არ ახლავს არგუმენტი, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს აპლიკანტის ზედაპირულ ცოდნაზე.
- ✦ საკუთარ გამოცდილებაზე აგებული პასუხები. ძალიან ხშირად გვხვდება პასუხები, რომლებშიც დავალების პრობლემა გააზრებულია, მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია, მაგრამ არ ეყრდნობა ვიგოტსკის თეორიას. შესაბამისად, არ ჩანს, იცნობს თუ არა აპლიკანტი ამ თეორიას.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**

- „განვითარებისა და სწავლის თეორიები“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 55-63).
- „როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2008, გვ. 116-118).
- „ლევ ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების სოციო-კულტურული თეორია“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2012).

ღია დავალებების შესრულებისას ხშირად დაშვებული შეცდომები

- ✦ შინაარსიის რელევანტურობა. ღია დავალების შეფასების ერთერთი მთავარი კრიტერიუმია შინაარსიის რელევანტურობა – იმისათვის, რომ ყველა სხვა კრიტერიუმით დავალება შეფასდეს, იგი, პირველ რიგში, უნდა შეესაბამებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს და პასუხობდეს თანდართულ შეკითხვას/მითითებებს. აპლიკანტთა ნაწილი ყურადღებას არ აქცევდა თანდართულ შეკითხვას/მითითებებს. შედეგად ვიღებდით შეუსაბამო, არარელევანტურ პასუხს.
- ✦ ზოგადი მსჯელობა დავალების პირობაში მოცემული საკითხის შესახებ. აპლიკანტების მიერ დაშვებული ერთ-ერთი ყველაზე ხშირი შეცდომა არის ის, რომ დასმულ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხის ნაცვლად, აპლიკანტები

საკითხის შესახებ ზოგადად მსჯელობენ – საუბრობენ თემის მნიშვნელოვნებაზე, მის როლზე მასწავლებლის პროფესიაში და ა.შ. ხშირად პრობლემის დაძლევის კონკრეტული გზების აღწერის ნაცვლად აპლიკანტები შემოიფარგლებიან ზოგადი ფრაზებით. ამგვარ ფრაზებში არ ჩანს პედაგოგის კომპეტენცია და უნარები. ზოგადი პასუხი არ გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რამდენად შეუძლია აპლიკანტს დავალებაში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა.

- ✦ დავალების მითითების უგულვებელყოფა. ღია დავალებათა უმეტესობა აპლიკანტისაგან რამდენიმე კომპონენტთან პასუხს მოითხოვს, შესაბამისად, მაქსიმალური ქულის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტი ამომწურავად პასუხობდეს პირობაში მითითებულ ყველა კომპონენტს. პასუხები, რომლებშიც დავალების პირობის მხოლოდ ნაწილია შესრულებული, არ მიიჩნევა სრულად და ერთ-ერთ კომპონენტზე სწორი და სრული პასუხის შემთხვევაშიც კი, არ ფასდება მაქსიმალური ქულით. უფრო ხშირად, აპლიკანტები ასახელებენ პრობლემის გადაჭრის გზას, მაგრამ იშვიათად გვხვდება დასაბუთებული, არგუმენტირებული პასუხები.
- ✦ დავალებაში აღწერილი სიტუაციის პერიფრაზირება. აპლიკანტის ნაშრომებში ხშირად მოცემულია დავალების პირობაში წარმოდგენილი ინფორმაციის ციტირება ან პერიფრაზი. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სტრატეგიის აღწერის ნაცვლად, აპლიკანტები ყოველგვარი კომენტარებისა და ინტერპრეტაციის გარეშე აღწერენ სიტუაციას. ამგვარი პასუხები ითვლება არაადეკვატურად და შეფასების სქემის თანახმად, ყოველთვის 0 ქულით ფასდება.
- ✦ დავალების პირობის გააზრების პრობლემა. ზოგიერთი აპლიკანტი არ უკვირდება დავალების პირობას (მაგალითად, დავალების პირობაში საუბარია გაკვეთილის შეჯამებაზე, ხოლო აპლიკანტი მსჯელობს შემაჯამებელი შეფასების შესახებ), ერთმანეთში ურევს ცნებებს, შესაბამისად, პასუხი არარელევანტურია და ფასდება 0 ქულით.

ამგვარი პრობლემების თავიდან ასარიდებლად, გათვალისწინებული ნამუშევრებში არსებული ხარვეზებისა და ტიპური შეცდომების გათვალისწინებით

შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ყველა ტიპის ღია დავალებაზე მუშაობის დროს; გაითვალისწინეთ, რომ დავალება სწორდება იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: (1) შეესაბამება მოცემულ საკითხს – დავალების პირობა სწორადაა გააზრებული, (2) არ წარმოადგენს დავალების პირობის პერიფრაზს.

#### რეკომენდაციები

- ✦ ყურადღებით წაიკითხეთ დავალება, საკითხზე პასუხის გაცემისას გაითვალისწინეთ დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია და თქვენი მსჯელობა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით წარმართეთ.
- ✦ დავალების პირობის შემდეგ ყურადღებით წაიკითხეთ, რას მოითხოვენ თქვენგან; დავალებათა უმეტესობას თან ერთვის მითითებები, რომლებიც დაგეხმარებათ იმის განსაზღვრაში, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს მსჯელობა და რა კომპონენტებს უნდა მოიცავდეს პასუხი.
- ✦ ყურადღება მიაქციეთ, რამდენ მითითებაზე ითხოვს პასუხს თქვენგან დავალება. პასუხი მაქსიმალური ქულით ფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი უპასუხებს ყველა კითხვას/მითითებას, რომელთაც მოითხოვს დავალება. გახსოვდეთ, თუ გთხოვენ, აღწეროთ პრობლემის გადაჭრის ორი გზა, შეფასდება თქვენ მიერ ადეკვატურად დაწერილი ორი პასუხი. მესამე ან მეტი ვარიანტის შემოთავაზების შემთხვევაში დამატებითი ქულები არ იწერება.
- ✦ შეეცადეთ, თავი აარიდოთ მოცემული საკითხის შესახებ ზოგად მსჯელობებსა და შეფასებებს. თქვენი პასუხი უნდა იყოს ლაკონიური. ქულა იწერება კონკრეტულ პასუხებში.
- ✦ სასურველია, თქვენი ნაწერი არ გასცდეს პასუხისათვის განკუთვნილ არეს. ტესტის ბუკლეტში შეგიძლიათ დაწეროთ პასუხის გეგმა ან სრულყოფილი პასუხი. მაგრამ გახსოვდეთ, რომ სწორდება არა ტესტის ბუკლეტი, არამედ პასუხების ფურცელი. ყურადღება მიაქციეთ, რა მოცულობის არეა გამოყოფილი პასუხების ფურცელზე კონკრეტული დავალებისათვის. გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ტექსტის ის ნაწილი, რომელიც პასუხისათვის სპეციალურად გამოყოფილ არეს გასცდება.



- ▶ პასუხების ფურცელზე პასუხი ჩაწერეთ დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ, შეცდომა შეგიძლიათ გამოასწოროთ პასუხების ფურცელზე დავალების ნომრის გადასწორებით. შეცდომით სხვა ადგილზე ჩაწერილი პასუხი გასწორდება მხოლოდ იმ უკიდურეს შემთხვევაში, თუ ნომერი გადასწორებულია.

წარმოგიდგინთ ღია დავალებებს 2019 წლის პროფესიული უნარების ტესტიდან:

## **დავალებები 2019 წლის ტესტიდან**

### **დავალება 28**

*მაქსიმალური ქულა - 1*

მასლოუს თეორიის მიხედვით, ადამიანი მოთხოვნილებებს იერარქიული თანმიმდევრობით იკმაყოფილებს — მას გადარჩენისათვის ჯერ ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ესაჭიროება, მხოლოდ ამის შემდეგ გაუჩნდება უსაფრთხოების მოთხოვნილება და ა. შ.

- დაასახელეთ მოთხოვნილება, რომელიც უკვე უნდა ჰქონდეს დაკმაყოფილებული ადამიანს, რომ მას გაუჩნდეს დაფასების/აღიარების მოთხოვნილება.

**რას ვაფასებთ.** ამ დავალებით ფასდება, რამდენად კარგად იცნობს პედაგოგი მასლოუს ჰუმანისტურ თეორიას, იცის თუ არა მან, როგორ არის იერარქიულად დალაგებული ამ თეორიის თანახმად ადამიანის მოთხოვნილებები.

**შეფასების კრიტერიუმები.** დავალება 1-ქულიანია. აპლიკანტს, დავალების პირობის შესაბამისად, მოეთხოვება მხოლოდ იმ მოთხოვნილების დასახელება, რომელიც ადამიანს უკვე უნდა ჰქონდეს დაკმაყოფილებული, რომ მას დაფასების/აღიარების მოთხოვნილება გაუჩნდეს.

28-ე დავალების პრინციპის უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ნიმუშებს.

**ნიმუში №1**

პასუხი შეფასებულია 0 ქულით

28. მსროყს იქსიქიყი მოთხოვნილებქს თლოიქს თანხმარ აქამონს უნდო ქქონდეს დაცმყოფიციქი ქვედა სფეხუქს მოთხოვნიქ: ფიქიო, ლოგუქი, კვენიო, თსფქთხოვქს, დაცუციოქს, შქქოქ უკვეო დაცმყოქაქ, აქიო ჰქნოქ.

**განმარტებო.** წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტი ჩამოთვლის მოთხოვნილებათო იერარქიის ყველა სოფეხურს გარდა სიყვარულის დო მიკუთვნებულობის მოთხოვნილებისო, რომელსოც ადამიანი იკმყოფილებს ვიდრე მას გოუჩნდებო დოფოსისო დო აღიარების მოთხოვნილებო. შესობამისოდ, აპლიკანტის პასუხი შეფოსებულიო 0 ქულით.

ნიმუში №2

პასუხი შეფოსებულიო 1 ქულით

28. მსროყს იქსიქიქი მოთხოვნილებქს თლოიქს თანხმარ აქამონს დაცმყოფიციქი უნდო ქქონდეს სოფეხუქს - მოყუთვნიქს მოიხოვნო დო შქქოქე უქნდო დოფოსიქს ალიოქსიქს მოიხოვნო.

**განმარტებო.** აპლიკანტის პასუხი ადეკვოტურიო დო შეფოსებულიო 1 ქულით.

**დოვოლებო 42.** აპლიკანტს მოეთხოვებო მოცემული ტექსტის გოანალიზებო დო მასზე დოყრდნობით სომ დოვოლებოზე პასუხის გაცემო, რომელთოგოთ ერთი არჩევიტპასუხიოთიო, ხოლო ორი - ლიო დოვოლებო.

**დოვოლებო 42**

ნოყოფიერი სოგოკვეთილო პროცესის წარმართვისოს მოსწოვლებოთ იციოთ, რისი უფლებო აქვთ დო როს უნდო ელოდონ თოვიოთი თოთოკლასელებისოგოთ, იციოთ, ქვევის როგორი წესებოო კლასში (Danielson, 2013: 16). მოგრამ მნიშვნელოვოთიო, როგორ მივოწვდით ამ წესებს მოსწოვლებს. როგორც კვლევა გვიჩვენებს, წესების დოთერგვო კომპლექსური პროცესიო დო მოსწოვლებისოთვის არო მხოლოდ წესების გაცნობოს,

არამედ ამ წესების დაცვის ნებისა და უნარის გამოხატვასაც მოითხოვს. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიზიარონ კლასის წესები, მნიშვნელოვანია, რომ წესები ისე ავუხსნათ, როგორც აკადემიურ კონცეფციებს ვუხსნით და ვაჩვენოთ წესების ლოგიკა და საფუძველი (Doyle, 1986).

მოსწავლეების ქცევის ტიპური დარღვევებია: დაგვიანება, გაკვეთილების გაცდენა, სასწავლო მასალის გარეშე გამოცხადება, უყურადღებობა, საუბარი და გადაძახება, სიტყვიერი და ფიზიკური აგრესიის რბილი ფორმები. (Metz, 1978). არასასურველი ქცევების გამოვლენა დამოკიდებულია საკლასო აქტივობაზე, გაკვეთილის პერიოდსა და მოსწავლის ტიპზე. მაღალუნარიანი მოსწავლეები არასასურველ ქცევებს ავლენენ ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლისას და საგაკვეთილო სეგმენტის ბოლოს, დაბალუნარიანი მოსწავლეები კი - საგაკვეთილო სეგმენტის შუაში (Rusnock & Brandler, 1979). მასწავლებელს უნდა შეეძლოს რეაგირების სწორი ფორმისა და დროის შერჩევა, მაგალითად, რიგ შემთხვევებში უმჯობესია, მასწავლებელმა თავი შეიკავოს რეაგირებისაგან. როგორც ერთ-ერთ კვლევაში მონაწილე მასწავლებელზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, მან დღის განმავლობაში იმდენჯერ შეწყვიტა სასწავლო აქტივობა მოსწავლის ქცევაზე რეაგირების მიზნით, რომ ამ კლასში მოსწავლეების მიერ სასწავლო აქტივობებზე დახარჯული დრო საგაკვეთილო დროის მხოლოდ 25%-ს შეადგენდა (Kounin, 1983). მნიშვნელოვანია რეაგირების ფორმაც. მოკლევადიან პერსპექტივაში სიტყვიერმა შენიშვნამ თუ სხვა ფორმის დასჯამ, რომელიც საჯარო და პერსონალურია, შესაძლოა, შედეგი გამოიღოს. ამიტომ მასწავლებლები ხშირად მიმართავენ ამ მეთოდს. თუმცა მასწავლებლის მიერ შენიშვნებისა და დასჯის ხშირი გამოყენების გრძელვადიანი ეფექტი უკიდურესად დესტრუქციულია, რადგან მოსწავლეები კარგავენ შენიშვნების მიმართ მგრძნობელობას და იმისათვის, რომ შენიშვნამ ან დასჯის სხვა ფორმამ მოსწავლეზე გავლენა იქონიოს, მასწავლებელს უწევს დასჯის ფორმის გამკაცრება. შედეგად, მასწავლებელი ექცევა ე. წ. კრიტიკის ხაფანგში. მოსწავლეების არასასურველ ქცევაზე რეაგირებისას მნიშვნელოვანია, რომ შევხებით კონკრეტულ ქცევას და არა მოსწავლეს. (Danielson, 2013: 16).

*(„სახელმწიფო შეფასება, საბუნებისმეტყველო საგნები (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია)*

*მე-9 კლასი“, ანგარიში,*

*შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2016)*

**რას ვაფასებთ.** მოცემული დავალება აფასებს, თუ რამდენად კარგად იცნობს აპლიკანტი ბიჰევიორისტულ მიდგომას და როგორ იყენებს ის ამ ცოდნას საკუთარ პრაქტიკაში მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს.

## დავალება 42.2

*მაქსიმალური ქულა - 3*

- სკინერის ბიჰევიორისტულ თეორიაზე დაყრდნობით ახსენით, რატომ კარგავენ მოსწავლეები „მგრძნობელობას“ შენიშვნებისა და დასჯის მიმართ გრძელვადიან პერსპექტივაში. *დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*

**შეფასების კრიტერიუმები.** დავალება 3 - ქულიანია.

**3 ქულა** - პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა, დასმული პრობლემის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. მსჯელობიდან იკვეთება, რომ აპლიკანტს ესმის თეორიის ძირითადი არსი. პასუხი არის სრული, არგუმენტირებული. კერძოდ, პასუხში სკინერის თეორიის საფუძველზე კარგად არის გაანალიზებული დასჯა, როგორც პრობლემური ქცევის აღმოფხვრის არაეფექტური სტრატეგია. აპლიკანტი, კარგად ხსნის, თუ რატომ კარგავენ მოსწავლეები „მგრძნობელობას“ დასჯის მიმართ, პასუხი დასაბუთებულია.

**2 ქულა** - აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს, თუმცა არ არის სრული, სქემატურია. კერძოდ, აპლიკანტის მსჯელობაში ჩანს სკინერის თეორიის ცოდნა, თუმცა კარგად ვერ ასაბუთებს, თუ რატომ არ არის დასჯა ეფექტიანი სტრატეგია გრძელვადიან პერსპექტივაში. პასუხი სქემატურადაა დასაბუთებული.

**1 ქულა** - პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი (ნაწილობრივი, ზედაპირული) ცოდნა; აპლიკანტი არ უპასუხებს პირობაში მოცემულ მნიშვნელოვან მითითებას. კერძოდ, აპლიკანტი ზოგადად მსჯელობს დასჯის უარყოფით ეფექტზე.

0 ქულა - აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული, ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს ან წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.

დავალება 42.2-ის შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ნიმუშებს.

### ნიმუში №1

პასუხი შეფასებულია 0 ქულით

42.2 ბიჭვინთის - ქვევის შესწავლა (სხვაობაზე)  
მნიშვნედი და დასჯა არ უნდა იყოს ერთგვაროვანი, ძველი. უნდა ვიყოთ მოსწავდეზე ორიენტირებული, გავითვალისწინოთ მსაქთან ერთად მისი ქვევის თვისებები და სვალაქადობა, და ისე გავხიზოთ მოღვაწეო რეკლამაქადობა

განმარტება. პასუხი 0 ქულით არის შეფასებული, რადგან არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. აპლიკანტს მოეთხოვებოდა, რომ სკინერის თეორიაზე დაყრდნობით გაეანალიზებინა დასჯა და დაესაბუთებინა. მოცემულ პასუხში კი აპლიკანტი ძალიან ზოგადად მსჯელობს დასჯის მეთოდზე, თუმცა არაფერია ნახსენები თუ რა შედეგი შეიძლება გამოიღოს დასჯის ხშირად გამოყენებამ.

### ნიმუში №2

პასუხი შეფასებულია 1 ქულით

42.2 ქვევის მომართ მნიშვნედი ან დასჯა უნდა იყოს გამოყენებული იშვიათად და ზომიერი. იმ შემთხვევაში თუ ჩვენ სოსკამპიურად გამოვიყენებთ დასჯის მეთოდს (მოხსნა) ქვესზე ეს სიტუაცია უარყოფითად, ის შეაჩეუა მნიშვნედი და დასჯა. დასჯა უნდა შეესაბამებოდეს მოსწავდის მიერ ჩადენილ გადაცდომას და უნდა იყოს ხანმოკლე. დასჯის მეთოდის გამოყენებით ჩვენ უნდა მოვიღოთ შედეგი - რომ მსაქთან ქვევას ქვესზე შეამსირობს ან არ გამოიყოფს.

განმარტება. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს ზედაპირული ცოდნა; ის არ პასუხობს პირობაში მოცემულ მნიშვნელოვან მითითებას. კერძოდ, აპლიკანტი ზოგადად მსჯელობს როგორ უნდა გამოვიყენოთ დასჯა. პასუხში

ბიჰევიორისტულ თეორიაზე დაყრდნობით არ არის ახსნილი, რატომ კარგავს მგრძობელობას მოსწავლე დასჯის მიმართ.

### დავალეზა 42.3

*მაცსიმალური ქულა - 3*

ტექსტში აღნიშნულია, რომ წესების დანერგვა კომპლექსური პროცესია. ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქცევის წესების შემუშავება.

– რა რეკომენდაცია უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა ქცევის წესების შემუშავების დროს? *დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*

**რას ვაფასებთ.** მოცემული დავალეზა აფასებს, თუ რამდენად კარგად ესმის აპლიკანტს ქცევის წესების მნიშვნელობა და რა უნდა გაითვალისწინოს მათი შემუშავების დროს.

**შეფასების კრიტერიუმები.** დავალეზა 3 - ქულიანია.

**3 ქულა** - პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა, კარგად არის გააზრებული, თუ რა უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა ქცევის წესების შემუშავების დროს და რატომ. პასუხი არის სრული, არგუმენტირებული. კერძოდ, პასუხი სრულად შეესაბამება პირობას, მოცემულია ერთი ადეკვატური რეკომენდაცია და დასაბუთებულია.

**2 ქულა** - აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს, თუმცა არ არის სრული/სქემატურია. კერძოდ, აპლიკანტის მსჯელობაში მოცემულია ადეკვატური რეკომენდაცია, თუმცა პასუხი სქემატურადაა დასაბუთებული.

**1 ქულა** - პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი (ნაწილობრივი, ზედაპირული) ცოდნა; აპლიკანტი არ უპასუხებს პირობაში მოცემულ მნიშვნელოვან მითითებას. პასუხი არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული.

0 ქულა - აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული, ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს ან წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.

დავალება 42.3-ის შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ნიმუშებს.

ნიმუში №1

პასუხი შეფასებულია 0 ქულით

42.3 მომწველთან ქაღალდით ჩამოყალიბება ქვემო წესები, თუ სურთ მის  
ეს ახილეთ ქაღალდით, გვირგვინით მისი წესები და  
მისი ყველაფერი იქნება მთავარი მნიშვნელოვანი, სიმართლის კონკრეტული.

განმარტება. აპლიკანტის პასუხი შეფასებულია 0 ქულით, რადგან ის არ უპასუხებს დავალების პირობას. არ არის მოცემული კონკრეტული რეკომენდაცია.

ნიმუში №2

პასუხი შეფასებულია 3 ქულით

42.3 ქვემო წესები შემოვიტყვევებთ მასწავლებელს ყნა  
გაიგადოთ:   
ა) ქვემო წესები აქედან დასაძინებლად მომწველთან ესა  
ყნა იყო შემოვიტყვევებთ.   
თუინაჲ შემოვიტყვევებთ წესები მომწველთან ესა შემოვიტყვევებთ.   
ბ) ქვემო წესები არ ყნა იყო ზეტი (ლილი ზოღინათა)   
მეტი ზოღინათა წესები ადვილად იმსოვებთ   
მომწველთან და შემოვიტყვევებთ.

აპლიკანტის პასუხი შეფასებულია 3 ქულით. პასუხი მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს და მათ დასაბუთებას.

## რეკომენდებული ლიტერატურა:

- განვითარებისა და სწავლის თეორიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008).
- სწავლება და შეფასება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008).
- სასწავლო და პროფესიული გარემო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008).
  - ეფექტური სწავლება სკოლაში. მარზანო, რ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- ეფექტიანი სწავლება. თეორია და პრაქტიკა. გამოცდების ეროვნული ცენტრი (2010).
- პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი. თერნბული, ჯ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- ინტერკულტურული განათლება. ტაბატაძე, შ., & ნაცვლიშვილი, ნ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008).
  - მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას. მარზანო, რ. ჯ., ნორფორდი, ჯ.ს., & დ'არქანჯელო, მ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- კლასის მართვა. მარზანო, რ.ჯ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები მასწავლებლებისათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2010).
- კითხვის ეფექტური მეთოდები. გზამკვლევი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2010).
- როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, ს. ჯანაშია, ეტ. აღ., ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (2007).
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, ს. ჯანაშია, ეტ. აღ. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, (2008).
- ვისწავლოთ ერთად, ინკლუზიური განათლება, თ. პაჭკორია (რედ.) ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, (2008).



- განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისთვის, ს. ჯანაშია, ეტ. ალ. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, (2007).
- როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის - პროფესიული უნარები. გამოცდების ეროვნული ცენტრი, (2008-2013 წწ).

# დანართი 1

## პროფესიული უნარები

### პროგრამა

#### 1. სასწავლო გარემო

##### 1.1. კეთილგანწყობილი, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა:

- განსხვავების, მრავალფეროვნების აღიარება, ტოლერანტობა.
- პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება.
- ინტელექტუალური უსაფრთხოება.
- ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბება.
- კონფლიქტის პრევენცია, კონფლიქტის კონსტრუქციული მოგვარება.
- მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაცია.

##### 1.2. კლასის მართვა:

- ქცევის წესების შემუშავება და დაცვა.
- აქტივობების შესაბამისი პროცედურების ცოდნა და გამოყენება.
- დროის ეფექტიანი მენეჯმენტი.

1.3. ფიზიკური გარემო:

- საკლასო სივრცის მოწყობა, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება.
- საკლასო ორგანიზაციის ფორმების გამოყენება საკლასო აქტივობების შესაბამისად.
- სასწავლო რესურსის თანაბარი ხელმისაწვდომობა და უსაფრთხო გამოყენება.

## 2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა

2.1. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო მიზნების შესაბამისად:

- წლიური გეგმა.
- თემატური გეგმა.
- ინდივიდუალური გეგმა.

2.2. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება:

- სასწავლო მიზნები.
- მოსწავლეთა შესაძლებლობები.
- სასწავლო აქტივობები, მეთოდები.
- დროის განაწილება.
- სასწავლო რესურსი (მიზნობრიობა, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება).

2.3. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა.

### 3. სწავლება

3.1. სწავლისა და განათლების ძირითადი თეორიები და მათი გამოყენება მოსწავლის განვითარების ხელშესაწყობად.

|  |   |
|--|---|
| ლ. ვიგოტსკი,<br>კონსტრუქტივიზმი (ჟ. პიაჟე, ა. ბლუმი, ჯ. ბანდურა, დ.პერკინსი, ბ. ბრუნერი) | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |
| ბიჰევიორიზმი (ბერას ფ. სკინერი)  | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |
| კოგნიტური განვითარების თეორია (ჟან პიაჟე)  | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |
| სოციალური დასწავლის თეორია (ალბერტ ბანდურა)  | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |
| სოციო-კულტურული თეორია (ლევ ვიგოტსკი)  | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |
| მორალური განვითარების თეორია (ლორენს კოლბერგი)   | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |
| ჰუმანისტური თეორია (კარლ როჯერსი, აბრაჰამ მასლოუ)  | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |
| მრავალმხრივი ინტელექტის თეორია (ჰოვარდ გარდნერი)   | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |

|   |   |
|---|---|
| განწყობის თეორია (დიმიტრი უზნაძე)                               | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |
| ეფექტიანი სწავლების პრინციპები, „თეორია ერთი“ (დევიდ პერკინსი)  | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |
| აღმოჩენებით სწავლის თეორია (ჯერომ ბრუნერი)                      | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |
| პროგრესული განათლების პრინციპები (ჯონ დიუსის სკოლა-ლაბორატორია) | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |

|   |   |
|---|---|
| განათლების მიზნების ტაქსონომია (ბენჯამენ ბლუმი) | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |
| მონტესორის სკოლა (მარია მონტესორი)              | ძირითადი პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება |

3.2. კომუნიკაციის სტრატეგიები:

- ვერბალური კომუნიკაცია.
- არავერბალური კომუნიკაცია.
- აქტიური მოსმენა.

3.3. მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა:

- შინაგანი მოტივაცია.
- გარეგანი მოტივაცია.
- მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით მოტივაციის სტრატეგიის შერჩევა.
- მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა.

3.4. ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა და პრინციპები:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლის ხელშეწყობა.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროგრესის შეფასება.

3.5. საკლასო ორგანიზაციის მოდელები:

- საერთო საკლასო მუშაობა.
- ინდივიდუალური მუშაობა.
- ჯგუფური მუშაობა.

3.6. სწავლების სტრატეგიები:

- ინფორმაციის აღქმა, გადამუშავება და შენახვა.
- საშინაო დავალება.
- კონკრეტული მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება (კითხვის დასმის ტექნიკები, დისკუსია, როლური თამაშები/სიმულაციები, კოგნიტური სქემები, გრაფიკული ორგანიზატორები, პრეზენტაცია, პროექტები და ა.შ.).

3.7. უნარების განვითარება:

- სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა (კრიტიკული აზროვნება, ანალიტიკური აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, ტრანსფერი, მეტაგოგნიცია).
- სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

### 3.8. სასწავლო რესურსი:

- სასწავლო რესურსის მოძიება/შექმნა.
- სასწავლო რესურსის, ტექნოლოგიების სასწავლო მიზნების ადეკვატურად და ეფექტიანად გამოყენება.

### 3.9. სწავლების ფორმები:

- დამოუკიდებელი სწავლება.
- კონკურენტული სწავლება.
- თანამშრომლობითი სწავლება.
- პირდაპირი სწავლება.
- არაპირდაპირი სწავლება.

## 4. სასწავლო პროცესის შეფასება

### 4.1. შეფასების ტიპები:

- განმავითარებელი შეფასება.
- განმსაზღვრელი შეფასება.
- მიმდინარე შეფასება.
- შემაჯამებელი შეფასება.

### 4.2. შეფასების მეთოდები:

- ტესტირება.
- პორტფოლიო.
- მასწავლებლის დაკვირვება და კომენტარი.
- მოსწავლის თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება.

4.3. შეფასების ძირითადი პრინციპები:

- ობიექტურობა.
- სანდოობა.
- ვალიდობა.
- გამჭვირვალობა.

4.4. შეფასების შედეგების გამოყენება:

- მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად.
- მასწავლებლის თვითშეფასებისათვის.

5. პროფესიული განვითარება

5.1. კოლეგებთან ურთიერთობა:

- მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობის მიზნით კოლეგებთან თანამშრომლობა.
- ინტეგრირებული სწავლება.
- ჯგუფური დაგეგმვა.
- დამწყები პედაგოგისთვის გამოცდილების გაზიარება.
- რესურსის მოძიება და გამოყენება.

5.2. პროფესიული განვითარება:

- თვითშეფასების გამოყენება პროფესიული განვითარების მიზნით.
- საკუთარი პრაქტიკის კვლევა.
- კოლეგების გამოცდილების გაზიარება.



## დანართი 2

2014 წელს გამოყენებული  
პროფესიული უნარების ტესტი



# პროფესიული უნარების ტესტი

## ინსტრუქცია

პროფესიული უნარების ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: სწავლება და შეფასება, განვითარებისა და სწავლის თეორიები, პროფესიული გარემო.

ტესტში ოთხი გიპის დავალებაა:

- (1) არჩევითპასუხიანი დავალება ოთხი სავარაუდო პასუხი თ, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.
- (2) შესაბამისობის დავალება, რომელიც ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტ ში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.
- (3) დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია -მცდარია“, რომლებიც თქვენგან მოცემული მსჯელობის ჭეშმარიტების ან მცდარობის დადგენას მოითხოვს. გაითვალისწინეთ: თუ დებულება მცდარია და მიუთითებთ პასუხს „მცდარია“, ეს დებულება აუცილებლად უნდა ჩაწეროთ სწორი (ჭეშმარიტი) ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კონკრეტულ დავალებაში ქულას ვერ მიიღებთ.
- (4) ღიადაბოლოებიანი დავალებები, რომლებიც თქვენგან მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის ადეკვატური.

თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა. ყველა სხვა გიპის დავალება ერთქულიანია.

სამუშაოდ თქვენ გეძლევათ გესგურ დავალებათა ბუკლეგი და პასუხების ფურცელი. გესგის ბუკლეგში მოცემულია დავალებათა პირობები და დაგოვებულია თავისუფალი ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

**პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია**

არჩევითპასუხიანი დავალებების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი და თქვენი პასუხები მონიშნეთ ისე, როგორც ეს წარმოდგენილ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისათვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნავთ პასუხს, უფლება გეძლევათ, გამოასწოროთ შეცდომა. ამისათვის თქვენ სრულად უნდა

1. 2. 3. 4. 5.

გააფერადოთ აღნიშნული უჯრა და ამის შემდეგ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მეორე დავალებისთვის არის ნაჩვენები. თუ თქვენ დაგოვებთ დანარჩენ უჯრებს ცარიელს, როგორც ეს მესამე დავალებისთვის არის ნაჩვენები, ამ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება 0 ქულით შეფასდება.

|    |                                     |                                     |                                     |                          |                          |
|----|-------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| ა. | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| ბ. | <input type="checkbox"/>            | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| გ. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| დ. | <input type="checkbox"/>            | <input checked="" type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

ღიადაბოლოებიანი დავალების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ჩაწერეთ თქვენი პასუხი; ის არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

**პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ.**

# სწავლება და შეფასება

## დაკვლევა №1

როგორც ცნობილია, მოგივაცია მნიშვნელოვნად იცვლება მოსწავლის ასაკის მაგებისა თუ მასზე მოქმედი გარემო ფაქტორების ზეგავლენით. კვლევებით დადასტურებულია, რომ მოგივაცია უფრო მდგრადია, თუ ის ეყრდნობა უფრო მეტად შინაგან, ვიდრე გარეგან მოგივებს.

ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორის/ფაქტორების ზეგავლენით არის შესაძლებელი სწავლის შინაგანი მოგივაციის შენარჩუნება?

- I. შესასრულებელი სამუშაოსადმი ინტერესი – ეხება თუ არა შესასრულებელი დავალება მოსწავლის ინტერესების სფეროს.
- II. წარმატების მიღწევის სტიმული – თუნდაც უმნიშვნელო პროგრესის აღნიშვნა და მოსწავლის წახალისება.
- III. ცოდნის შექმნის მნიშვნელობა – რამდენად ღირებულია მოსწავლისათვის სწავლის შედეგად მიღებული ცოდნა.
  - ა) მხოლოდ I.
  - ბ) მხოლოდ I და III.
  - გ) მხოლოდ II.
  - დ) მხოლოდ II და III.

## დაკვლევა №2

საგაკვეთილო დროის ოპტიმალურად გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაკვეთილის დასაწყისშივე შეუქმნას კლასს სამუშაო განწყობა.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობაა ყველაზე ეფექტიანი იმისათვის, რომ მასწავლებელმა მოსწავლეები გაკვეთილზე დროულად განაწყოს სამუშაოდ?

- ა) მასწავლებელი ელოდება ყველა მოსწავლის შემოსვლას კლასში და შემდგომ კითხულობს სიას.
- ბ) მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, მოწესრიგდნენ და მაშინვე იწყებს ახალი მასალის ახსნას.
- გ) მასწავლებელი ითხოვს ყურადღებას და რომელიმე მოსწავლეს იძახებს დაფასთან გაკვეთილის მოსაყოლად.
- დ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაიკავონ ადგილები და ჩამოთვალონ, რა გაუჭირდათ საშინაო დავალების შესრულებისას.

### **დავალევა №3**

ცნობილია, რომ ინკლუზიური განათლება დადებით შედეგებს იძლევა როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, ისე კლასის დანარჩენი მოსწავლეებისათვის.

ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა/მსჯელობები ასახავს ინკლუზიური განათლების დადებით შედეგს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის?

- I. გარშემომყოფთა თანაგრძნობის შედეგად მოსწავლე თავს აღიქვამს გამორჩეულ ადამიანად.
- II. მოსწავლე სწავლობს თავისი ასაკისთვის სოციალურად შესაფერის ქცევას რეალურ სასკოლო სიგუაციაში.
- III. მოსწავლეს უჩნდება შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს მიკუთვნებულობის მოთხოვნილება, უმაღლდება თვითშეფასება.
  - ა) მხოლოდ I.
  - ბ) მხოლოდ I და III.
  - გ) მხოლოდ II.
  - დ) მხოლოდ II და III.

### **დავალევა №4**

მეგაკოგნიცია გულისხმობს მოსწავლის მიერ:

- ა) საკუთარი შეცდომების დანახვასა და გაანალიზებას.
- ბ) საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და მიღებული შეფასებების კონტროლს.
- გ) საკუთარი პიროვნული თვისებების შეცნობასა და გაანალიზებას.
- დ) საკუთარი საამბროვნო პროცესებისა და სწავლის შესახებ წარმოდგენის შექმნას.

### **დავალევა №5**

ლიგერაგურის მასწავლებელმა მოსწავლეებს შესწავლილი ნაწარმოების მიხედვით თემის დაწერა დაავალა. ქეთიმ დავალება დიდი პასუხისმგებლობით შეასრულა და მაღალ ქულას ელოდა. მისთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ თხზულების მოცულობისა და ციფრების სიმცირის გამო ქულა დააკლდა.

შეფასების რომელი პრინციპის უგულებელყოფა ჩანს ცხადად აღწერილ სიგუაციაში?

- ა) სანდობა.
- ბ) ვალიდობა.
- გ) ობიექტურობა.
- დ) გამჭვირვალობა.

## დავკლება №6

კვლევებით დადასტურებულია, რომ არასაკმარისად განვითარებული სოციალური უნარები მოზარდებში დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი შეიძლება გახდეს. მასწავლებელი განსაკუთრებულ სიფრთხილეს უნდა იჩინდეს იმ ქმედებების შერჩევის დროს, რომელთა გამოყენებითაც გეგმავს მოსწავლეებისთვის სოციალური უნარების განვითარებას.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედებაა ნაკლებად ადეკვატური მოსწავლის სოციალური უნარების განვითარების ხელშესაწყობად?

- ა) მასწავლებელი სიგყვიერად განუმარგავს მოსწავლეს, თუ რა არ უნდა გააკეთოს მან თანაგოლებთან ურთიერთობისას.
- ბ) მოსწავლეების გამოკითხვის საფუძველზე მასწავლებელი არკვევს კლასში მოსწავლის იმოღაციის მიზეზს და ამის გათვალისწინებით უწყობს ხელს ბავშვებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
- გ) მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეს მისთვის ჩვეულ გარემოში, ინიშნავს მის ქცევებს და უხსნის, როგორ გამოასწოროს.
- დ) მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ურთიერთობის აგებაზე მიმართულ იმიტირებულ სიგუაციებში მონაწილეობას, რის შემდეგაც ისინი ისაუბრებენ საკუთარ ემოციებზე, დაკვირვებებზე.

## დავკლება №7

დაჩქარებული წესით სწავლების მეთოდი ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკაა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პირობების უზრუნველსაყოფად.

ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორის/ფაქტორების გათვალისწინებაა აუცილებელი სასწავლო პროგრამის დაჩქარებული წესით სწავლების გადაწყვეტილების მიღების დროს?

- I. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლის სოციალურ-ემოციური მზადყოფნა.
- II. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლის ასაკი.
- III. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლის ინტელექტუალური შესაძლებლობები.

- ა) მხოლოდ I.
- ბ) მხოლოდ I და III.
- გ) მხოლოდ II.
- დ) მხოლოდ II და III.

## დავალბა №8

დიალოგის სწორად წარმართვით მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიუმჯობესონ კომუნიკაციური უნარები, ისწავლონ კითხვების დასმა, მოსმენა.

მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან დიალოგის წარმართვის დროს გამოყენებული რომელი სტრატეგიაა **არ** არის მართებული?

- ა) მასწავლებელი არკვევს, რა უდევს საფუძვლად მოსწავლის ბოგჯერ არასწორ, მაგრამ განსხვავებულ მოსაზრებას.
- ბ) მიუხედავად მოსწავლის მცდარი, განსხვავებული მოსაზრებისა, მასწავლებელი გულსყურით უსმენს მას.
- გ) მასწავლებელი იცავს საკუთარ პოზიციას და ეხმარება მოსწავლეებს მცდარი მოსაზრების შეცვლაში.
- დ) სიგუაციის შესწავლის მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აანალიზებს წარმოდგენილ ფაქტებს.

## დავალბა №9

სასწავლო პროცესში აუდიო-ვიზუალური მასალის გამოყენების შესახებ გამოთქმული რომელი მსჯელობა/მსჯელობებია მართებული?

- I. მასალის ერთდროულად – როგორც ვიზუალურად, ისევე აკუსტიკურად – მიწოდება ხელს უწყობს ინფორმაციის ხანგრძლივად დამახსოვრებას.
- II. აუდიო-ვიზუალური მასალის გამოყენების დროს მოსწავლეთა ყურადღება შესასწავლი საკითხიდან გადაერთვება გარეგან ეფექტებზე.
- III. აუდიო-ვიზუალური მასალა ამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს და იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას.

- ა) მხოლოდ I.
- ბ) მხოლოდ I და III.
- გ) მხოლოდ II.
- დ) მხოლოდ II და III.

## დავალბა №10

ჩამოთვლილთაგან პედაგოგის რომელი შეკითხვა შეესაბამება სოკრატულ მეთოდს?

- ა) „რას მოიმოქმედებდა ნაწარმოების გმირი საპირისპირო სიგუაციაში?“
- ბ) „სად იყო ნაწარმოების გმირი განვითარებული მოვლენების დროს?“
- გ) „როგორ დააღწია თავი ნაწარმოების გმირმა არსებულ საფრთხეს?“
- დ) „როგორ გაამართლა ნაწარმოების გმირმა თავისი საქციელი?“

## დავალება №11

პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის სასწავლო გარემოში ბავშვის სრულფასოვან ფუნქციონებას, აკადემიური ჩვევების ათვისებასა და მისი შესაძლებლობების რეალიზებას, მრავალფეროვანია და ხშირ შემთხვევაში – არათვალსაჩინო. მნიშვნელოვანია, პედაგოგმა, ბავშვის ფსიქიკური განვითარების შეფასების ფონზე, დროულად ამოიცნოს მოსწავლის არათვალსაჩინო პრობლემური ნიშანი და მის დასაძლევად გამოიყენოს შესაფერისი მიდგომა.

ჩამოთვლილთაგან რომელი ნიშანი მიუთითებს მოსწავლის ჰიპერაქტიურობაზე?

- ა) თავს არიდებს ბავშვებთან ურთიერთობას.
- ბ) შფოთავს, ბევრს მოძრაობს უმიზეზოდ.
- გ) ხშირად იგვიებს თავს, მალე იღლება.
- დ) მეგყველებს სწრაფად და გაუგებრად.

## დავალება №12

შინაგანად მოგივირებული მოსწავლეების შესახებ გამოთქმული მსჯელობებიდან რომელია მართებული?

- ა) შინაგანად მოგივირებული მოსწავლეები უფრო მგვიწინაა განიცდიან მარცხს, ვიდრე გარეგანი მოგივაციის მქონენი.
- ბ) შინაგანად მოგივირებული მოსწავლეების მიზანია ძალისა და ენერჯის მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღება.
- გ) შინაგანად მოგივირებული მოსწავლეები უფრო გამბედავნი და თავდაჯერებულნი არიან, ვიდრე გარეგანი მოგივაციის მქონენი.
- დ) შინაგანად მოგივირებული მოსწავლეები უფრო მეტად ცდილობენ, გედმიწევნით შეასრულონ მოთხოვნები და გაამართლონ მასწავლებლის მოლოდინი.

## დავალება №13

ნინო გაკვეთილზე ცელქობს, ესაუბრება თანაკლასელებს და ხელს უშლის მათ მუშაობაში. მასწავლებელს ნინო დაფასთან გაყავს, აძლევს მას დავალებას, შეფასებისას კი მოუსვენარი საქციელის გამო ნიშანს აკლებს.

შეფასების პრინციპების თანახმად, მასწავლებლის ქმედება:

- ა) ადეკვატურია. მოსწავლეთა ყოფაქცევა მჭიდრო კავშირშია აკადემიურ მოსწრებასთან, შესაბამისად, ის შეფასებაშიც უნდა აისახებოდეს.
- ბ) არ არის ადეკვატური. მოსწავლის ქცევა არ უნდა გახდეს ნიშნის განმსაზღვრელი, ნიშანი მხოლოდ მის აკადემიურ მიღწევებს უნდა ასახავდეს.
- გ) ადეკვატურია. ჩვეულებრივ, ნიშნის დაკლება მოსწავლის არასასურველი ქცევის პრევენციის ეფექტიანი საშუალებაა.
- დ) არ არის ადეკვატური. ცელქობა არ შედის დისციპლინის იმ უხემ დარღვევათა რიცხვში, რომლის გამოც მოსწავლეს შეფასებისას ნიშანი უნდა დააკლდეს.



## დავალება №14

მიზნების დასახვა ეხმარება მოსწავლეს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბების დროს გარკვეული პრინციპები დაიცვას.

ჩამოთვლილთაგან რომელი პრინციპის/პრინციპების გათვალისწინებაა აუცილებელი მიზნების ფორმულირების დროს?

- I. მიზნები უნდა ყალიბდებოდეს კოლეგებთან თანამშრომლობის საფუძველზე – საგნობრივი ან რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული მასწავლებელთა ჯგუფი ერთობლივად უნდა გეგმავდეს სასწავლო პროცესს.
- II. მიზნები უნდა ჩამოყალიბდეს არა მასწავლებლის, არამედ მოსწავლის პერსპექტივიდან – მასში უნდა იყოს ასახული მოსწავლეების ცოდნაში კონკრეტული პოზიტიური ცვლილებების მიღწევა.
- III. ჩამოყალიბებული მიზნები უნდა იყოს გეგმის ათელის წერტილი – საბოლოო მიზნის ფორმულირების შემდეგ „უკუსვლით“, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ყალიბდებოდეს ამ მიზნის მიღწევის გეგმა/სტრატეგია.
  - ა) მხოლოდ I.
  - ბ) მხოლოდ I და II.
  - გ) მხოლოდ II და III.
  - დ) მხოლოდ III.

## დავალება №15

ცნობილია, რომ საკუთარი თავისადმი პოზიტიური დამოკიდებულება ხელს უწყობს მოსწავლის სწავლის ეფექტიანობას.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეს საკუთარი თავისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში?

- ა) მოსწავლეები დააჯგუფოს უნარების მიხედვით და სამუშაოდ მისცეს ერთი და იგივე დავალება.
- ბ) დავალების შერჩევისას გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები.
- გ) დააწესოს სტანდარტი, რომელსაც მოსწავლეები საკუთარ მიღწევებსა და შედეგებს შეადარებენ.
- დ) მოსწავლეებს მისცეს შესაძლებლობა, წყვილებში შეაფასონ ერთმანეთი ან კლასში ერთობლივად განიხილონ თანაკლასელების შედეგები.

## დავალება №16

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი დავალება/დავალებები განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას?

- I. დავალება, რომელიც არის კარგად ნაცნობი და საფუძვლიანად გაანალიზებული, რათა მოსწავლე თამამად და თავდაჯერებით შეუდგეს მის შესრულებას.
- II. ისეთი სირთულის დავალება, რომ ერთგვარი გამოწვევა იყოს მოსწავლისათვის, მაგრამ გარკვეული ძალისხმევით დამოუკიდებლად შეძლოს თავის გართმევა.
- III. საკმარისად რთული და ერთი შეხედვით დაუძლევადი დავალება, რომ მოსწავლეს დასჭირდეს ძალთა მაქსიმალური მობილიზება.

- ა) მხოლოდ I.
- ბ) მხოლოდ I და III.
- გ) მხოლოდ II.
- დ) მხოლოდ II და III.

## დავალება №17

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

**მიზანი:** მოსწავლეებისათვის კრიტიკული აზროვნების განვითარება.

**აქტივობა:** ბიოლოგიის მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნო ორი სამეცნიერო სტატია გენური ინჟინერიის სფეროდან, რომლებშიც გამოგანილი იყო ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს გენეტიკურად მოდიფიცირებული პროლუქტები ადამიანის ჯანმრთელობაზე. მასწავლებელმა დაავალა მოსწავლეებს, გამოეხატათ საკუთარი დამოკიდებულება სტატიებში წარმოდგენილი მოსაზრებების მიმართ და ევარაუდათ, როგორი იქნებოდა ამ სამეცნიერო მიღწევის შეფასება 50 წლის შემდეგ, ეკამათათ და მოეყვანათ შესაბამისი არგუმენტები.

მასწავლებლის აქტივობა დასახული მიზნის:

- ა) ადეკვატურია. განსხვავებული მოსაზრებების გაცნობა ეხმარება მოსწავლეს იმის გაცნობიერებაში, რომ ცოდნას სუბიექტური ხასიათი შეიძლება ჰქონდეს. მოვლენის სხვადასხვა კრილში განხილვა კი ხელს უწყობს საპირისპირო მოსაზრებების გაანალიზებას, მათდამი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.
- ბ) არ არის ადეკვატური. კრიტიკული აზროვნება ვითარდება მაშინ, როდესაც მოსწავლე აკვირდება საკუთარი აზროვნების პროცესს, დამოუკიდებლად მუშაობს, და არა ჯგუფურ განხილვაში მონაწილეობის დროს.

- გ) ადეკვატურია. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, მოსწავლეებს მიაწოდოს თემასთან დაკავშირებული განსხვავებული მოსაზრებები, ეს საკმარისი პირობაა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ მოვლენათა მრავალი კუთხით გაანალიზება.
- დ) არ არის ადეკვატური. არსებობს ობიექტური სიმართლე, რომლის შესახებ ცოდნა ბოგჯერ მეცნიერებსაც არ აქვთ. ამგვარი მოვლენის შესახებ განსხვავებული მოსაზრებების გაცნობისა და მათზე მსჯელობის შედეგად მოსწავლე აცნობიერებს მხოლოდ იმას, რომ მეცნიერება უძლურია, ჩასწვდეს ბოგიერთი მოვლენის არსს.

### **დაკვლევა №18**

განასხვავებენ მასალის მიწოდების რამდენიმე ხერხს/მიდგომას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია, გაკვეთილის ახსნის პროცესი უფრო მკაფიო გახდეს.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასალის მიწოდების ინდუქციური მიდგომა?

- ა) მასწავლებელი განიხილავს კონკრეტულ მაგალითებს და შემდეგ განაზოგადებს მათ.
- ბ) მასწავლებელი თემას ხსნის ზოგადად და ამის შემდეგ კი საკითხს შემადგენელ ნაწილებად ყოფს.
- გ) მასწავლებელი მასალის ნაწილებს ისე წარმოადგენს, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მათი ერთმანეთთან შედარება.
- დ) მასწავლებელი განმარტავს ზოგად ცნებას და შემდეგ განიხილავს კონკრეტულ საკითხებს.

### **დაკვლევა №19**

მოსწავლეებს შორის კონფლიქტი სკოლისათვის ჩვეული მოვლენაა, ამიგომ აუცილებელია, მასწავლებელი იცნობდეს მისი კონსტრუქციული მოგვარების ხერხებს. კონფლიქტის მოგვარება ორმხრივი პროცესია და მისი გამწვავების თავიდან ასარიდებლად მნიშვნელოვანია, მხარეებმა გააანალიზონ როგორც საკუთარი, ისევე მოწინააღმდეგის/ოპონენტის მიზნები და ინტერესები.

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება **არ** შეუწყობს ხელს კონფლიქტის კონსტრუქციულ მოგვარებას?

- ა) მოწინააღმდეგის ბოგიერთი დადებითი ქმედების აღიარება.
- ბ) პრობლემის ობიექტური განსჯით კონფლიქტის ძირითადი არსის წვდომა.
- გ) მოწინააღმდეგის ინტერესების გამართლება და მიღება.
- დ) ოპონენტების მხრიდან პოზიციების დაახლოებისათვის მზაობის გამომჟღავნება.

## დავალეზა №20

ცხრილის A სვეტში წარმოდგენილია მასწავლებლის მიერ გამოყენებული სასწავლო აქტივობები, ხოლო B სვეტში – სწავლების სტრატეგიები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

| აქტივობა (A)  | სტრატეგია (B)                                    |
|---|--|
| I. ისტორიის მასწავლებელმა მოუთხრო მოსწავლეებს XVIII საუკუნეში ინფორმაციის გავრცელების საშუალებებზე, შემდეგ კი სთხოვა, გაეანალიზებინათ მათი მსგავსება ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე საშუალებებთან.                                     | ა) პროექტი<br>ბ) გონებრივი იერიში<br>გ) შედარება |
| II. ფიზიკის მასწავლებელმა ხის ფესვებიდან მისი კენჭეროსკენ წყლის გავრცელების მაგალითზე ახსნა კაპილარული მოვლენები.   | დ) ანალოგია                                      |
| III. ბიოლოგიის მასწავლებელმა სპოროვანი მცენარეები ახსნა. მან მოსწავლეებს დაავალა: დაეთესათ რამდენიმე სპოროვანი მცენარე და დაკვირვებოდნენ მის ზრდას, გადაეღოთ ფოტოები და მუშაობის შედეგები (თეორიული და ფოტო მასალა) განეთავსებინათ სტენდზე. |  |


☒ ჩაწერეთ:

| აქტივობა (A)  | I | II | III |
|---------------|---|----|-----|
| სტრატეგია (B) |   |    |     |

## დავალება №21

მაქსიმალური ქულა – 4

სწავლის ეფექტიანობის ასამაღლებლად მასწავლებლები ხშირად იყენებენ სხვადასხვა გიპის კოგნიტურ სქემებს. ერთ-ერთი ასეთი სქემაა ვენის დიაგრამა (იხ. ნახაზი), რომლის გამოყენებაც მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს.



- მოიყვანეთ სწავლების პროცესში ვენის დიაგრამის ეფექტიანი გამოყენების კონკრეტული მაგალითი.
- დაასახელეთ, მოსწავლის რომელი უნარების განვითარებას უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება სასწავლო პროცესში. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

✍ ჩაწერეთ:

---

---

---

---

---

## დავალება №22

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს ყოველკვირეულ გეგმას, რომელიც ასე გამოიყურება:

| <b>სასწავლო დღიური</b> |                 |                           |                     |                                     |
|------------------------|-----------------|---------------------------|---------------------|-------------------------------------|
| ღვე                    | გაკვეთილის თემა | სახელმძღვანელო/ პარაგრაფი | დავალება/ სავარჯიშო | დავალების შესრულებაზე დახარჯული დრო |
| ორშაბათი               |                 |                           |                     |                                     |
| სამშაბათი              |                 |                           |                     |                                     |
| ...                    |                 |                           |                     |                                     |

6. შეეასრულე თუ არა ყველა დავალება? — თუ — არა, რატომ? \_\_\_\_\_

7. რა გავიგე კარგად? \_\_\_\_\_

8. რა გამიძნელდა? \_\_\_\_\_

9. რა ვერ გავიგე? \_\_\_\_\_

10. რომელი მეთოდით უფრო ეფექტურად ვსწავლობ? \_\_\_\_\_

მშობლის ხელმოწერა:

მოსწავლეებს ევალებათ: „სასწავლო დღიურის“ შევსება, კვირის ბოლოს თანდართულ კითხვებზე პასუხის გაცემა და მათი გაცნობა მშობლებსათვის.

- აღწერეთ ორი დადებითი შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მასწავლებლის ამგვარ მიდგომას. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

~~ა~~ ჩაწერეთ:

---



---



---



---



---




---

**დავალება №23**

როგორც ცნობილია, მოსწავლეთა ერთ ნაწილს მოსწონს რთული მიზნების დასახვა და პრობლემურ ამოცანებთან შეჭიდება, მეორე ნაწილი კი ორიენტირებულია მარცხის თავიდან არიდებაზე, უფრო ხის შეცდომის დაშვებასა და წარუმატებლობას, ამიგომ შედარებით ადვილად მისაღწევ მიზნებს ისახავს და მოკრძალებული შედეგითაც კმაყოფილია.

- აღწერეთ მასწავლებლის აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის მიღწევის მოტივაციის მრდას და მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

 ჩაწერეთ:

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

## **დავალეგები №24-28 შემდეგ პირობას ეყრდნობა:**

ინგერნეტ სივრცეში ერთ-ერთი სოციალური ქსელის მომხმარებელმა პედაგოგებმა განათლების სფეროს სიახლეების გასაცნობად ღია ჯგუფი შექმნეს. ჯგუფმა პოპულარობა მოიპოვა მშობლებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს შორისაც – გაჩნდა შესაძლებლობა, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა არა მხოლოდ მიიღოს საჭირო ინფორმაცია, არამედ სხვებსაც გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და გამოცდილება, ჩაერთოს წამოჭრილ პრობლემებზე გამართულ დისკუსიაში.

ქვემოთ წარმოდგენილია სოციალურ ქსელში განთავსებული რამდენიმე წერილი. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი და გაიაზრეთ აღწერილი პრობლემის არსი.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- აღწერეთ ერთი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ წერილში მოცემული პრობლემის მოგვარებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი აქტივობის/სტრატეგიის მართებულობა – რაგომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

**თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს.**

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა არის 3.



## სოციალურ ქსელში განთავსებული წერილები

### დავლება №24

#### მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება



მანანა ლორია

კლასში 30 მოსწავლე მყავს, რომლებიც ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან უნარებით, ინტერესებით, სწავლის სტილით... მინდა, სწავლის პროცესში გავითვალისწინო მათი ინდივიდუალური საჭიროებები და გაკვეთილი ამის მიხედვით ავაგო, მაგრამ ამას ხშირად ვერ ვახერხებ. პრობლემები განსაკუთრებით მაშინ მექმნება, როცა ახალ მასალაზე გადასასვლელად ვემზადები. კლასის ყველა მოსწავლე ამისთვის ერთნაირად მზად არ არის. ვიცი, რომ სუსტი მოსწავლეებისათვის ახალი მასალის მიწოდება ადრეა, მაგრამ არც ის მინდა, ძლიერი მოსწავლეები დაბრკოლდნენ.

მაინტერესებს, როგორ ახერხებთ სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენას და მათ გათვალისწინებას? 📖

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • გუშინ, 17:37-ზე

### დავლება №25

#### ბარდამავალ ასაკთან დაკავშირებული პრობლემები



Nana Beridze

წელს მეშვიდე კლასი მომცეს სადამრიგებლოდ. კლასში ერთი გოგონაა, რომელიც ყველაფრის მიმართ ინდიფერენტულია, სწავლა არ აინტერესებს, გაკვეთილებს სისტემატურად აცდენს, და თუ ესწრება, ფიქრებშია გართული, სადღაც სხვაგანაა. როდესაც მის ძველ მასწავლებლებს ჩემი პრობლემა გავუზიარე, გაუკვირდათ, რადგან მოსწავლე ადრე ყოველთვის კარგად სწავლობდა. ვხვდები, რომ პრობლემა მოსწავლის გარდამავალი ასაკით არის გამოწვეული და ამიტომ რადიკალურ ზომებს არ მივმართავ.

იქნებ მირჩიოთ, რა გავაკეთო, როგორ დავაინტერესო მოსწავლე სწავლით?

📖 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • 14 მაისი, 17:19-ზე

## დავალება №26

### გამოკითხვის უპასუხიანი სტრატეგია



Erekle Giorgadze

უკვე მომბეზრდა, რომ მასწავლებელი არ მაცდის კითხვაზე პასუხის გაცემას. საკმარისია, ოდნავ შევყოვნდე ან არასწორად ვუპასუხო, მეუბნება - დაჯექი, არ იცი! იქნებ, ვიცი?!... გადავწყვიტე, საერთოდ აღარ ავიწიო ხელი! სხვა მასწავლებლებმა მაინც ურჩიეთ, როგორ უნდა გაკვეთილის გამოკითხვა, ყველა ბავშვი ერთნაირად ხომ ვერ უპასუხებს?! [📄 მომწონს](#) • [კომენტარი](#) • [გამოწერის გაუქმება](#) • დღეს, 22:45-ზე

## დავალება №27

### დასჯა, როგორც არაეფექტური სტრატეგია



თამარ ფორჩხიძე

ხშირად მესმის, რომ ზოგიერთი მშობელი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ბავშვის დასჯას სკოლაში. მე კი მასწავლებელს თავადვე ვთხოვ, მკაცრად მოექცეს ჩემს შვილს და როცა საჭიროა, დასაჯოს კიდევ - კარგად დატუქსოს... ძალადობის და ცემის წინააღმდეგი მეც ვარ, მაგრამ ვფიქრობ, ზედმეტი ლოიალობაც არ არის სასურველი. ჩემი მოსწავლეობის პერიოდში ბავშვებს მკაცრად სჯიდნენ, მაგრამ ამას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა - უფრო დისციპლინირებული ვიყავით და უკეთესადაც ვსწავლობდით.

ორ საკითხთან დაკავშირებით მაინტერესებს თქვენი აზრი: (1) რატომ ითვლება, რომ დასჯა ძალიან იშვიათად ან თითქმის არ უნდა გამოიყენებოდეს და (2) დასჯის გარეშე როგორ უნდა აღმოვფხვრათ ბავშვის ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები?!

[📄 მომწონს](#) • [კომენტარი](#) • [გამოწერის გაუქმება](#) • დღეს, 21:20-ზე

ჯანსაღი ცხოვრების წესი



ლაშა მესხი

ჯანმრთელობა მოზარდის ჰარმონიული განვითარებისა და შრომისუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჯანსაღი ცხოვრების წესი

ადამიანის ღირებულებად რომ იქცეს, ამაზე ოჯახი და სკოლა ერთობლივად უნდა ზრუნავდეს. მეთერთმეტე კლასს ვასწავლი და მყავს მოსწავლეები, რომლებმაც უკვე დაიწყეს თამბაქოს მოწევა. დარწმუნებული ვარ, ასეთი პრობლემების წინაშე თქვენც მდგარხართ.

რა უნდა გავაკეთოთ პედაგოგებმა, როგორ მივადწიოთ იმას, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა სრულიად შეგნებულად მისდიონ ჯანსაღი ცხოვრების წესს?!

👍 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 20:40-ზე

№24-28 დავალებებისათვის განკუთვნილ არეში აღწერეთ მასწავლებლის ერთი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც იქნება წერილის ავტორის მიერ წამოჭრილი პრობლემის მოგვარების გზა. დაასაბუთეთ, რატომ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი თითოეული სტრატეგია ამ პრობლემის მოგვარებას.

პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, თუ სად უნდა ჩაიწეროს პასუხი.

ჩაწერეთ:

დავალება №24

---

---

---

---

---

---

---

დავლება №25

---

---

---

---

---

---

---

---

დავლება №26

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

დავლება № 27

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

დავლება №28

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

## განვითარებისა და სწავლის თეორიები

### დავალება №29

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება შეესაბამება ყველაზე მეტად სწავლების კონსტრუქცივისგულ მიდგომას?

- ა) მასწავლებელი ღრმად აანალიზებს და ინტერპრეტაციას უკეთებს ფაქტებს, მოვლენებსა და ცნებებს.
- ბ) ინფორმაციის მიწოდების შემდეგ მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს კითხვებზე პასუხის გაცემაში.
- გ) მოსწავლე ახალ მასალას თვითონ აკავშირებს ნასწავლთან, მასწავლებელი კი არის წარმმართველი და ხელშემწყობი.
- დ) მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეს მოვლენების ობიექტურად და არა სუბიექტური გამოცდილების მიხედვით აღქმას.

### დავალება №30

მასწავლებელმა მოსწავლეებს სადისკუსიოდ ასეთი მორალური დილემა შესთავაზა:

„წარმოიდგინეთ, რომ სკოლის ეზოში ფეხბურთს თამაშობთ. თქვენი გუნდი პარალელურ კლასს ეთამაშება და აგებს; მსაჯი აშკარად მოწინააღმდეგის მხარეზეა და მათ დარღვევებზე თვალს ხუჭავს. მაგრის ბოლო წუთებზე თქვენი გუნდის წევრმა გადაამწყვვეტი გოლი გაიგანა, თუმცა, თამაშის წესი დაარღვია. მსაჯს წესის დარღვევა არ შეუნიშნავს და გოლი ჩათვალა. თქვენი გუნდის მოთამაშეებმა ერთმანეთს გადახედეს და არაფერი თქვეს.“

შეაფასეთ თქვენი გუნდის მოთამაშეების საქციელი“.

ირაკლიმ ასეთი მოსაზრება გამოთქვა:

„– სწორად მოიქცნენ, აბა, რა?! კარგი იყო, რომ მთელი თამაშის დროს მსაჯი სულ მათ მხარეზე იყო და ყველაფერს პატიობდა?! იმათთვის თუ შეიძლება, ჩვენთვისაც შეიძლება!“ კოლბერგის თეორიის თანახმად, რომელ სგადიას შეესაბამება ირაკლის შეფასება.

- ა) პრეკონვენციური დონის I საფეხურს.
- ბ) პრეკონვენციური დონის II საფეხურს.
- გ) კონვენციური დონის I საფეხურს.
- დ) კონვენციური დონის II საფეხურს.

## დავალება №31

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დაასახელონ ლითონის ნივთები და დაფიქრდნენ, რაგომ არ შეიძლება მათი დამზადება სხვა მასალისგან; შემდეგ კი, დასკვნის სახით ჩამოაყალიბონ ლითონის დამახასიათებელი თვისებები და დააჯგუფონ მათთვის ნაცნობი ნივთიერებები ლითონებად და არალითონებად. ამ პროცესში მოსწავლეები იგებენ, რომ ვერცხლისწყალიც ლითონია.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ თეორიას შეესაბამება *ყველაზე მეტად* სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ გამოყენებული მეთოდი?

- ა) ოპერანტიული განპირობებულობის თეორიას
- ბ) სოციალური დასწავლის თეორიას
- გ) აღმოჩენებით სწავლის თეორიას
- დ) განწყობის თეორიას

## დავალება №32

*„– ხომ მართალია, რომ ბაგკანი პაგარა ბუჩქებს ჭამს?*

*– სრული სიმართლეა.*

*– როგორ მიხარია!*

*ვერ მივხვდი, რაგომ უნდა ყოფილიყო ასე მნიშვნელოვანი ის, რომ ბაგკანი ბუჩქებს ჭამს.*

*მაგრამ პაგარა უფლისწულმა დასძინა:*

*– რაკი ვერეა, ბაობაბსაც ხომ შეჭამს?*



*მე აუხსენი, რომ ბაობაბი ბუჩქი კი არა, გაძრის ოღენა ხეა და, სპილოების მთელი ჯოგიც რომ დაასიო, ვერაფერს დააკლებს – მეთქი“.*

*ანგუან დე სენგ-ეკბიუპერი „პაგარა უფლისწული“*

მოცემული ნაწყვეტიდან გამომდინარე, პიაჟეს თეორიის მიხედვით, კოგნიტური განვითარების რომელ სტადიას შეესაბამება *პაგარა უფლისწულის* მსჯელობა?

- ა) სენსომოტორულ სტადიას
- ბ) ოპერაციამდელ სტადიას
- გ) კონკრეტული ოპერაციების სტადიას
- დ) ფორმალური ოპერაციების სტადიას

### დავალება №33

პერკინსის აზრით, სწავლების დროს მასწავლებელი უნდა იყენებდეს „გაგების მოქმედებას“, რათა მოსწავლემ შეძლოს მისთვის ახალ სიტუაციაში კონკრეტული ცოდნის გახსენება და გამოყენება.

ჩამოთვლილთაგან, პერკინსის აზრით, რომელი არის „გაგების მოქმედება“?

- ა) კატეგორიების გამოყოფა.
- ბ) თემის შინაარსის გადმოცემა.
- გ) წინააღმდეგობრივი ფაქტების გამოყოფა.
- დ) საკითხის სხვადასხვა კუთხით განხილვა.

### დავალება №34

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება შეესაბამება *მონტესორის სკოლის* პრინციპებს?

- ა) მასწავლებელი აძლევს ბავშვს დავალებას, შესრულებისთვის საჭირო მითითებებს და თვალყურს ადევნებს ამ პროცესს.
- ბ) მასწავლებელი მოსწავლეთა ნამუშევრებს კლასის წინაშე აფასებს და ერთმანეთს ადარებს.
- გ) მასწავლებელი აძლევს ბავშვს არჩევანის საშუალებას, არ ბღუდავს დროში და წაახალისებს მის დამოუკიდებლობას.
- დ) მასწავლებელი ურიგებს ბავშვებს გეგმით გათვალისწინებულ მასალებს და წარმართავს ჯგუფურ მუშაობას.

### დავალება №35

*კლასის ყველაზე მონდომებულ მოსწავლეებს თანაკლასელები სიბუჯითის გამო დასცინიან და მათ მიმართ აგრესიას გამოხატავენ. უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად მოგიერთი წარმატებული მოსწავლე გაკვეთილზე ცოდნის გამოვლენას თავს არიდებს.*

წარმატებული მოსწავლეების ასეთ ქცევას განაპირობებს:

- ა) უარყოფითი დასჯა
- ბ) პოზიტიური დასჯა
- გ) ქცევის უარყოფითი განმგვიცება
- დ) შეუთავსებელი ქცევის განმგვიცება



## დავალება №36

მასწავლებელი და მოსწავლე გლობალური დათბობის შესახებ საუბრობენ:

**მოსწავლე:** გელევიმით მომისმენია, რომ მეცნიერები მგრძობიარე ხელსაწყოებით აღრიცხავენ კლიმატის ცვალებადობას დედამიწაზე და აფიქსირებენ რეკორდულად მაღალ გემპერაგურას, როგორც ღღემდე არასოდეს ყოფილა.

**მასწავლებელი:** როგორ ფიქრობ, რამდენი ხანია, რაც ასეთი ინსტრუმენტები არსებობს?

**მოსწავლე:** ალბათ დაახლოებით ასი წელია, XX საუკუნის დასაწყისიდან.

**მასწავლებელი:** უფრო სწორად, ამ პრობლემას იკვლევენ 1860 წლიდან. მოდი, დავაზუსტოთ, დანამდვილებით რისი თქმა შეგვიძლია გლობალური დათბობის შესახებ?

**მოსწავლე:** ესე იგი, მხოლოდ იმის, რომ XXI საუკუნის დასაწყისში გემპერაგურა გაცილებით მაღალია, ვიდრე საუკუნე-ნახევრის წინ იყო.

ჩამოთვლილთაგან რომელ თეორიას ეფუძნება სწავლების ამგვარი მეთოდი?

- ა) პერკინსის „თეორია ერთს“
- ბ) როჯერსის ჰუმანისტურ თეორიას
- გ) ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიას
- დ) სკინერის ოპერანტული განპირობებულობის თეორიას

## დავალება №37

სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ გამოთქმული რომელი დებულება ასახავს უზნაძის თეორიის არსს?

- ა) სასწავლო მასალა ამომწურავად უნდა იყოს მიწოდებული მასწავლებლის მიერ.
- ბ) ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს სასწავლო გარემოსა და დიდაქტიკურ მასალებზე.
- გ) მასალა მიწოდებული უნდა იყოს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალური განვითარების დონის შესაბამისად.
- დ) სასწავლო პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს სწავლის აქტიურ, ქმედით მოთხოვნილებად გარდაქმნაზე.

## დავალება №38

მასწავლებელმა შეამჩნია, რომ მოსწავლე სწორად ხსნის საკმაოდ რთულ გეომეტრიულ ამოცანებს, როცა მათ ნახაზზე დაერთვის, სხვა შემთხვევაში კი შეცდომებს უშვებს.

პაიუეს თეორიის თანახმად, უფრო მეტად ამგვარი შეცდომების დაშვების მიზეზია ის, რომ ბავშვს ნაკლებად აქვს განვითარებული:

- ა) ალსაქმელ ასპექტზე ცენტრაციის უნარი.
- ბ) აბსტრაქტულად ამროვნების უნარი.
- გ) სიმბოლური ამროვნების უნარი.
- დ) გრანზიგულობის უნარი.

## დავალება №39

ცხრილის A სვეტში აღწერილია მოსწავლის ქცევა, ხოლო B სვეტში მოცემულია მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებაც შესაძლოა იყოს ამ ქცევის მოტივი. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის თეორიის მიხედვით.

| ქცევა (A)  | მოთხოვნილება (B)  |
|--|---|
| I. მოსწავლე თავს იკავებს, უპასუხოს იმ კითხვას, რომელსაც ვერაფერს პასუხობს, რადგან არ უნდა, რომ ყველასგან გამორჩეული იყოს.                              | ა) ფიზიოლოგიური<br>ბ) უსაფრთხოების<br>გ) სიყვარულისა და მიკუთვნებულობის<br>დ) დაფასების<br>ე) თვითრეალიზაციის |
| II. მოსწავლე ყველა საგანს ბეჯითად მეცადინეობს და მაღალ ნიშნებსაც იღებს, რათა თავიდან აიცილოს მასწავლებლისა და მშობლების გაბრაზება.                     |   |
| III. მოსწავლეები პროექტის მომზადებას ისეთი ინტერესით მოეკიდნენ, დაულალავად იშრომეს და წარმატებით დაასრულეს, რომ სხვა საგნებისათვის დრო ვეღარ მოიგოვეს. |   |

☒ ჩაწერეთ:

| ქცევა (A)        | I | II | III |
|------------------|---|----|-----|
| მოთხოვნილება (B) |   |    |     |



## დანართი 3

# 2014 წელს გამოყენებული ტესტის შეფასების სქემა

დავალებები 1-19

| დავალება №   | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
|--------------|---|---|---|---|---|---|---|---|---|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|
| სწორი პასუხი | ბ | დ | დ | დ | დ | ა | ბ | გ | ბ | ა  | ბ  | გ  | ბ  | გ  | ბ  | გ  | ა  | ა  | გ  |

დავალება #20

მაქსიმალური ქულა – 1

შეფასების სქემა

|        |   |   |    |     |
|--------|---|---|----|-----|
| 1 ქულა | თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით: |   |    |     |
|        | აქტივობა (A)  | I | II | III |
|        | სტრატეგია (B)   | გ | დ  | ა   |
| 0 ქულა | ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი         |   |    |     |

I მითითების შეფასების სქემა

| ქულა | აღწერა  |
|------|---|
| 1    | <p>პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აღწერილია ვენის დიაგრამის გამოყენების ადეკვატური მაგალითი.</li> <li>➤ აპლიკანტი იძლევა ვენის დიაგრამის განმარტებას, მაგრამ არ მოჰყავს გამოყენების კონკრეტული მაგალითი.</li> </ul> |
| 0    | <p>პასუხი არაადეკვატურია აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნას. კერძოდ,</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ თუ ჩანს, რომ აპლიკანტმა არ იცის, რა არის ვენის დიაგრამა – მოჰყავს არაადეკვატური მაგალითი.</li> </ul>  |

II მითითების შეფასების სქემა

| ქულა | აღწერა   |
|------|--|
| 3    | <p>პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული, სიღრმისეული ცოდნა. პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტის მსჯელობა სრულია, დასაბუთებული, თანმიმდევრული, ლოგიკური და მკაფიო. აპლიკანტი ავლენს საკითხის გააზრებულ და დამაჯერებელ ცოდნას.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აპლიკანტი ასახელებს მინიმუმ ორ უნარს, რომლის განვითარებასაც უწყობს ხელს სწავლების პროცესში ვენის დიაგრამის გამოყენება, ამასთან მოჰყავს სათანადო არგუმენტი – ახსნილია, როგორ უწყობს</li> </ul> |

|   |  |
|---|--|
|   | <p>ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება დასახელებული უნარების განვითარებას.</p> <p><b>*შენიშვნა:</b> თუ აპლიკანტი ასაბუთებს დასახელებულთაგან მხოლოდ ერთ უნარს, მაგრამ ძალიან კარგად, ამ შემთხვევაშიც იწერება მაქსიმალური ქულა.</p>  |
| 2 | <p>პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური. პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს. აპლიკანტი კარგად იცნობს ვენის დიაგრამას და ადეკვატურად იყენებს მას.</p> <p>კერძოდ, თუ აპლიკანტის პასუხი ზოგადია ან სქემატური:</p> <p>(1 ვარიანტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✦ აპლიკანტი ასახელებს ორ უნარს, რომელთა განვითარებასაც უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება. მოცემულია ორივე უნარის ან თუნდაც ერთის სქემატური არგუმენტაცია.</li> </ul> <p>(2 ვარიანტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✦ დასახელებულია ერთი უნარი, რომლის განვითარებასაც უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება და კარგად არის დასაბუთებული.</li> </ul> |
| 1 | <p>პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტის ცოდნა ზედაპირულია, პასუხი შეიცავს სწორი, ლოგიკური მსჯელობის ელემენტებს (ამასთან, პასუხი შესაძლოა შეიცავდეს მცდარ, არაზუსტ მსჯელობასაც).</p> <p>კერძოდ:</p> <p>(1 ვარიანტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✦ აპლიკანტი ასახელებს ერთ უნარს, რომლის განვითარებასაც უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება. გვთავაზობს ძალიან სქემატურ არგუმენტაციას.</li> </ul> <p>(2 ვარიანტი)</p>  |

|   |  |
|---|--|
|   | <p>✦ დასახელებულია ორზე მეტი უნარი, რომელთა განვითარებასაც უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება და არ არის დასაბუთებული.</p>   |
| 0 | <p>პასუხი არაადეკვატურია აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. შეუძლებელია დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, როგორ ესმის აპლიკანტს დასმული საკითხი.</p> <p>კერძოდ, თუ:</p> <p>✦ ჩანს, რომ აპლიკანტმა არ იცის, რა არის ვენის დიაგრამა – არაადეკვატურად ასახელებს რაიმე უნარს, რომლის განვითარებასაც ხელს არ უწყობს ვენის დიაგრამის გამოყენება.</p> |

დავალება №22

მაქსიმალური ქულა – 4

| ქულა | აღწერა  |
|------|---|
| 4    | <p>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას. ამასთან, მსჯელობა ყველა საკითხზე სრულყოფილია, დასაბუთებული, თანმიმდევრული, ლოგიკური და მკაფიო. აპლიკანტი ავლენს საკითხის გააზრებულ, დამაჯერებელ და სრულყოფილ ცოდნას.</p> <p>კერძოდ, თუ პასუხი მოიცავს ორ კომპონენტს:</p> <p>✦ აპლიკანტის პასუხში წარმოდგენილია და კარგად არის აღწერილი მასწავლებლის მიერ გამოყენებული მიდგომის ორი დადებითი შედეგი.</p> <p>✦ აპლიკანტს მოჰყავს სათანადო არგუმენტები _ ასხნილია, რატომ მოსდევს მის მიერ დასახელებული დადებითი შედეგები ამ მიდგომის გამოყენებას.</p> <p><b>*შენიშვნა:</b> თუ აპლიკანტი ასაბუთებს დასახელებულთაგან მხოლოდ ერთ უნარს, მაგრამ ძალიან კარგად, ამ შემთხვევაშიც იწერება მაქსიმალური ქულა.</p> |



|   |  |
|---|--|
| 3 | <p>პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური. პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს. აპლიკანტი კარგად იცნობს ვენის დიაგრამას და ადეკვატურად იყენებს მას.</p> <p>კერძოდ, თუ აპლიკანტი უპასუხებს დავალების პირობაში მოცემულ ორივე მითითებას, თუმცა რომელიმეზე პასუხი ზოგადია ან სქემატური:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აპლიკანტი აღწერს ორ დადებით შედეგს და ამათგან მხოლოდ ერთს აქვს სათანადო ახსნა, რატომ მოსდევს მის მიერ დასახელებული დადებითი შედეგი ამ მიდგომის გამოყენებას.</li> </ul>   |
| 2 | <p>პასუხში ჩანს, რომ დასმულ საკითხთან დაკავშირებით აპლიკანტის ცოდნა არასრული, არაზუსტია, თუმცა იგი ფლობს ზოგად ინფორმაციას საკითხის შესახებ და წარმოაჩენს ამ ცოდნას.</p> <p>კერძოდ, თუ აპლიკანტი არ უპასუხებს პირობაში მოცემულ ერთ რომელიმე მითითებას ან ორივე მითითებას უპასუხებს ზოგადად და სქემატურად.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აპლიკანტი აღწერს ორ დადებით შედეგს და ორივეს ან, მათგან მხოლოდ ერთს აქვს სქემატური ახსნა, რატომ მოსდევს მის მიერ დასახელებული დადებითი შედეგი ამ მიდგომის გამოყენებას.</li> </ul> <p>ან</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აპლიკანტი აღწერს მხოლოდ ერთ დადებით შედეგს და სათანადოდ ასაბუთებს, რატომ მოსდევს მის მიერ დასახელებული დადებითი შედეგი ამ მიდგომის გამოყენებას.</li> </ul> <p>*აპლიკანტის მსჯელობაში არ არის კარგად გამოდიფერენცირებული დადებითი შედეგის აღწერა და შესაბამისი დასაბუთება, თუმცა მსჯელობა ადეკვატურია და შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აპლიკანს აქვს სათანადო ცოდნა.</p> |
| 1 | <p>პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტის ცოდნა ზედაპირულია, პასუხი შეიცავს სწორი, ლოგიკური მსჯელობის ელემენტებს, ამასთან პასუხის ნაწილში მოცემულია მცდარი, არაზუსტი მსჯელობა, რაც ცხადყოფს, რომ აპლიკანტს პრაქტიკულად არ ესმის საკითხი.</p> <p>კერძოდ, თუ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აპლიკანტი ასახელებს ორზე მეტ დადებით შედეგს და არ ასაბუთებს საკუთარ პასუხს.</li> </ul>  |

|   |  |
|---|--|
| 0 | <p>პასუხი არაადეკვატურია აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. შეუძლებელია დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, როგორ ესმის აპლიკანტს დასმული საკითხი.</p> <p>კერძოდ, თუ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აპლიკანტი მსგავსი მიდგომის გამოყენებას მიაწერს რაიმე არაადეკვატურ დადებით შედეგს.</li> <li>➤ პასუხში გამოყენებულია დავალების პირობის პერიფრაზი.</li> <li>➤ მოცემულია ზოგადი მსჯელობა „რაოდენ მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში ამგვარი მიდგომის გამოყენება“.</li> </ul> |
|---|--|

**დავალება №23**

*მაქსიმალური ქულა - 3*

| ქულა | აღწერა   |
|------|--|
| 3    | <p>პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული, სიღრმისეული ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აღწერილია ადეკვატური ქმედება, რომლის დახმარებითაც მასწავლებელი შეძლებს მოსწავლეების მიღწევის მოტივაციის ზრდას და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას.</li> <li>➤ პასუხი არგუმენტირებულია, მსჯელობა დამაჯერებელია, თანმიმდევრული და ლოგიკური.</li> </ul>   |
| 2    | <p>პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აქტივობა მხოლოდ დასახელებულია, მაგრამ მოყვანილია ადეკვატური არგუმენტი. მაგ.: „ასეთი ბავშვები უნდა წავახალისოთ, რადგან წახალისების შედეგად მათ გაუჩნდებათ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა და მიღწევის მოტივაცია“. <p>ან</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ კარგად არის აღწერილი მასწავლებლის ადეკვატური ქმედება და დასაბუთება ძალიან სქემატურია, ან დავალების პერიფრაზია. „მასწავლებელმა უნდა დაუფიქსიროს მოსწავლეს</li> </ul> </li></ul> |

|   |  |
|---|--|
|   | <p>რთული საკითხების გადაწყვეტისას მიღწეული ყოველი წარმატება, შეაქოს, შეფასებაზე ასახოს შესრულებული დავალების სირთულე, რათა მოსწავლეს გაუჩნდეს წარმატების მიღწევის მოტივაცია“.</p> <p>*თუ სტრატეგია აღწერილია ძალიან კარგად – რელევანტურია, ეხება არსებით საკითხებს, დეტალურად არის აღწერილი და/ან გამყარებულია ადეკვატური მაგალითებით, მაგრამ არ არის დასაბუთებული, გამონაკლისის სახით, ამგვარ პასუხებში იწერება 2 ქულა.</p>   |
| 1 | <p>პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ კარგად არის აღწერილი ადეკვატური სტრატეგია, მაგრამ არ არის დასაბუთებული.</li> </ul> <p>ან</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ დასახელებულია ორზე მეტი ადეკვატური სტრატეგია, მაგრამ არ არის დასაბუთებული.</li> </ul>   |
| 0 | <p>პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ არასწორად ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას, მაგ.: „როცა ბავშვი მორცხვია, მასწავლებელმა უნდა იზრუნოს მისი თვითშეფასების ამაღლებაზე“.</li> <li>➤ აქტივობების დასახელებისა და არგუმენტირების ნაცვლად საუბრობს პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე ისე, რომ არაფერს ამბობს გადაჭრის გზებზე, მაგ.: „ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ბავშვი ვერ აფასებს თავის შესაძლებლობებს და არა აქვს სწავლის მოტივაცია“.</li> </ul> |

დავალება №24

მაქსიმალური ქულა - 3

|      |        |
|------|--------|
| ქულა | აღწერა |
|------|--------|

|   |   |
|---|---|
| 3 | <p style="text-align: right;">პასუხში ჩანს</p> <p>საკითხის გააზრებული, სიღრმისეული ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა კითხვას (მითითებას). აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▶ აღწერილია ერთი ადეკვატური ქმედება, რომლის დახმარებითაც მასწავლებელი შეძლებს სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენას.</li> <li>▶ აღწერილია სტრატეგია, თუ როგორ გაითვალისწინებს მასწავლებელი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და დასაბუთებულია არჩეული სტრატეგიის ეფექტურობა (დასაშვებია სქემატური დასაბუთებაც, თუ აპლიკანტს კარგად აქვს აღწერილი, როგორც მოსწავლის საჭიროების დადგენის პროცედურა, ასევე, მოსწავლეებთან სამუშაოდ არჩეული სტრატეგია).</li> </ul>                              |
| 2 | <p>პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▶ სქემატურად არის აღწერილი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენის სტრატეგია (მაგალითად, „ჩავატარებ ტესტირებას“), ხოლო ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებისათვის მითითებულია ადეკვატური სტრატეგია და სათანადოდ არის დასაბუთებული მისი ეფექტურობა.</li> </ul> <p>ან</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▶ კარგად არის აღწერილი ინდივიდუალური საჭიროების შეფასების შესაბამისი ქმედება, პასუხი მოიცავს საჭიროებების გათვალისწინების კონკრეტულ სტრატეგიასა და დასაბუთებასაც, მაგრამ სქემატურად.</li> </ul> <p>*თუ სტრატეგია აღწერილია ძალიან კარგად – რელევანტურია, ეხება არსებით საკითხებს, დეტალურად არის აღწერილი, გამყარებულია ადეკვატური მაგალითებით, მაგრამ არ არის დასაბუთებული, გამონაკლისის სახით, ამგვარ პასუხებში იწერება 2 ქულა.</p> |
| 1 | <p>პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▶ აღწერილი ადეკვატური ქმედება, რითაც პედაგოგი ადგენს მოსწავლეთა დონეს (1 კომპონენტი).</li> </ul>   |

|   |   |
|---|---|
|   | <p>ან</p> <p>➤ აღწერილია ადეკვატური ქმედება, რითაც პედაგოგი ითვალისწინებს მოსწავლეთა დონეს (II კომპონენტი), მაგრამ არ არის დასაბუთებული.</p> <p>ან</p> <p>➤ მოსწავლეთა შესაძლებლობის დადგენის და გათვალისწინების კომპონენტები (ორივე კომპონენტი) აღწერილია სქემატურად და არ არის დასაბუთებული.</p>        |
| 0 | <p>პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.</p> <p>მაგ.:</p> <p>➤ „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის უნდა შედგეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და შეფასების სისტემა“...</p> |

დავალება №25

მაქსიმალური ქულა – 3

| ქულა | აღწერა   |
|------|--|
| 3    | <p>პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული, სიღრმისეული ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა მითითებას. მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტმა იცის გარდამავალი ასაკის თავისებურებები და ესმის მასთან დაკავშირებული პრობლემები. ახერხებს პრობლემის იდენტიფიცირებას და, შესაბამისად, იცის თუ როგორ უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ამ პრობლემების დაძლევაში.</p> <p>➤ აპლიკანტი ასახელებს და აღწერს ერთ კონკრეტულ ადეკვატურ სტრატეგიას, რომელიც დაეხმარება აღწერილი პრობლემის მოგვარებაში.</p> |

|          |   |
|----------|---|
|          | <p>➤ აპლიკანტი ასაბუთებს დასახელებული სტრატეგიის ადეკვატურობას. პასუხიდან ჩანს, თუ როგორ შეუწყობს ხელს დასახელებული სტრატეგია აღწერილი პრობლემის მოგვარებას.</p> <p>*არგუმენტი შესაძლებელია იყოს მოკლე, მაგრამ არსებითი.</p>  |
| <p>2</p> | <p>პასუხში კარგად არ ჩანს საკითხის ცოდნა. აპლიკანტი არ პასუხობს პირობის რომელიმე ერთ მითითებას. აპლიკანტი სწორად ვერ აფასებს გარდამავალ ასაკთან დაკავშირებული ცვლილებების გავლენას მოსწავლეზე. მსჯელობა არ არის სრული.</p> <p>➤ აპლიკანტი აღწერს ერთ სტრატეგიას, რომელიც პედაგოგს დაეხმარება არსებული პრობლემის მოგვარებაში, მაგრამ ძალიან ზედაპირულად ასაბუთებს მის მართებულობას.</p> <p>ან</p> <p>➤ აპლიკანტი ასახელებს სტრატეგიას და კარგად ასაბუთებს მის მართებულობას.</p> <p>*თუ სტრატეგია აღწერილია ძალიან კარგად – რელევანტურია, ეხება არსებით საკითხებს, დეტალურად არის აღწერილი და/ან გამყარებულია ადეკვატური მაგალითებით, მაგრამ არ არის დასაბუთებული, გამონაკლისის სახით, ამგვარ პასუხებში იწერება 2 ქულა.</p> |
| <p>1</p> | <p>პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის ზედაპირული ცოდნა.</p> <p>➤ აპლიკანტი აღწერს ერთ სტრატეგიას, რომელიც პედაგოგს დაეხმარება არსებული პრობლემის მოგვარებაში, მაგრამ არ ასაბუთებს მის მართებულობას.</p> <p>ან</p> <p>➤ დასახელებულია ორზე მეტი ადეკვატური სტრატეგია.</p> <p>ან</p>   |

|           |   |
|-----------|---|
| <p>ან</p> | <p>➤ ორივე მითითებაზე პასუხი არასრული, სქემატურია.</p> <p>➤ ზოგადი მსჯელობა გარდამავალი ასაკის ბავშვთან მასწავლებლის განსაკუთრებულად ფრთხილი და ფაქიზი დამოკიდებულების აუცილებლობის შესახებ.</p>            |
| <p>0</p>  | <p><i>პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.</i></p> <p>➤ დავალების პირობის პერიფრაზი.</p> |

დავალება №26

მაქსიმალური ქულა - 3

| ქულა     | აღწერა  |
|----------|---|
| <p>3</p> | <p>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა კითხვას (მითითებას). აღწერილია, თუ რა სტრატეგია უნდა გამოიყენოს პედაგოგმა შეყოვნების ან არასწორი (ან ნაწილობრივ სწორი) პასუხის შემთხვევაში და დასაბუთებულია დასახელებული სტრატეგიის მართებულობა.</p> <p>➤ დასახელებულია შეყოვნებისა და არასწორი (ან ნაწილობრივ სწორი) პასუხის შემთხვევაში მასწავლებლის მიერ გამოყენებული სტრატეგია.</p> <p>➤ დასაბუთებულია დასახელებული სტრატეგიის მართებულობა. პასუხი დამაჯერებელია, თანამიმდევრული და ლოგიკური.</p> |
| <p>2</p> | <p>პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული.</p>  |

|   |   |
|---|---|
|   | <p> <b>➤</b> აპლიკანტი არ განავრცობს, მხოლოდ ასახელებს სტრატეგიას, რომელიც უნდა გამოიყენოს მოსწავლის შეყვანების ან არასწორი (ან ნაწილობრივ სწორი) პასუხის შემთხვევაში და კარგად ასაბუთებს სტრატეგიის ადეკვატურობას.<br/> ან<br/> <b>➤</b> აპლიკანტი კარგად აღწერს ადეკვატურ სტრატეგიას პასუხის შეყვანების ან არასწორი (ან ნაწილობრივ სწორი) პასუხების შემთხვევაში, მაგრამ სქემატურად ასაბუთებს მის მართებულობას.<br/> *თუ სტრატეგია აღწერილია ძალიან კარგად – რელევანტურია, ეხება არსებით საკითხებს, დეტალურად არის აღწერილი, გამყარებულია ადეკვატური მაგალითებით, მაგრამ არ არის დასაბუთებული, გამონაკლისის სახით, ამგვარ პასუხებში იწერება 2 ქულა. </p> |
| 1 | <p> პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა.<br/> <b>➤</b> აპლიკანტი აღწერს ადეკვატურ სტრატეგიას, მაგრამ არ ასაბუთებს.<br/> ან<br/> <b>➤</b> აპლიკანტი ასახელებს ერთზე მეტ სტრატეგიას, პასუხს არ ასაბუთებს.<br/> ან<br/> <b>➤</b> აპლიკანტი ზოგადად მსჯელობს გამოკითხვის სტრატეგიებზე, მაგრამ არ ცდილობს დაუკავშიროს დავალებაში აღწერილ სიტუაციას. </p>   |
| 0 | <p> პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.<br/> <b>➤</b> დავალების პირობის პერიფრაზი.<br/> <b>➤</b> მასწავლებლის ქმედების მხოლოდ უარყოფითად შეფასება. </p>  |



| ქულა | აღწერა  |
|------|---|
| 3    | <p>პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული, სიღრმისეული ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული. აპლიკანტი გასაგებად და ამომწურავად პასუხობს დავალებაში მოცემულ ორივე კითხვას მითითებების მიხედვით. აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით.</p> <p>ადეკვატურად არის ახსნილი, რატომ ითვლება, რომ დასჯა ძალიან იშვიათად ან თითქმის არ უნდა გამოიყენებოდეს.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აღწერილია დასჯის ალტერნატიული მეთოდი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად.</li> <li>➤ აპლიკანტი საკუთარ მსჯელობას/მოსაზრებას ასაბუთებს დასჯის არაეფექტურობის ან მისი ალტერნატიული მეთოდის ახსნის დროს. (პასუხი შეიცავს დასაბუთების კომპონენტს თუნდაც ერთ ან ორივე კითხვაზე).</li> </ul> |
| 2    | <p>პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული.</p> <p>(1 ვარიანტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აპლიკანტი სრულად, ამომწურავად, დასაბუთებულად პასუხობს რომელიმე ერთ კითხვას.</li> </ul>  |

|   |   |
|---|---|
|   | <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ძალიან სქემატურად ან საერთოდ არ პასუხობს მეორე კითხვას.<br/>(მაგალითად, ორი სიტყვით მიაწერს: „უმჯობესია შევაქოთ, წავახალისოთ“).</li> </ul> <p>(2 ვარიანტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აპლიკანტის პასუხი პირველ კითხვაზე არის ამომწურავი და კარგად დასაბუთებული.</li> <li>➤ მეორე კითხვაზე პასუხი არ არის გაცემული.</li> </ul> <p>(3 ვარიანტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პირველ კითხვაზე პასუხი არ არის გაცემული.</li> <li>➤ აპლიკანტის პასუხი მეორე კითხვაზე არის ამომწურავი და კარგად დასაბუთებული.</li> </ul> <p>(4 ვარიანტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პასუხი ორივე მითითებაზე ადეკვატურია:</li> <li>➤ ჩამოთვლილია დასჯის ორზე მეტი უარყოფითი შედეგი.</li> <li>➤ ჩამოთვლილია დასჯის ორზე მეტი ალტერნატივა.</li> </ul> |
| 1 | <p>პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა.</p> <p>(1 ვარიანტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ჩამოთვლილია დასჯის ორზე მეტი უარყოფითი შედეგი.</li> </ul> <p>(2 ვარიანტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ჩამოთვლილია დასჯის ორზე მეტი ალტერნატივა.</li> </ul> <p>(3 ვარიანტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აპლიკანტის პასუხი ძალიან სქემატურია, თუმცა მოიცავს ორივე კომპონენტს (ძალიან ზედაპირულად არის განმარტებული (1) რატომ არ არის კარგი დასჯის გამოყენება, ან (2) რა შეიძლება</li> </ul>  |

|   |   |
|---|---|
|   | <p>გამოვიყენოთ დასჯის ალტერნატივად). მაგ.: „დასჯისას ბავშვი ითრგუნება, უკეთესია ხშირად შევაქოთ“.</p> <p><i>*აპლიკანტი ადეკვატურად პასუხობს რომელიმე ერთ კითხვას, მაგრამ ძალიან სქემატურად.</i></p>  |
| 0 | <p>პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული - ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.</p> <p>✚ პასუხი აცდენილია, პერიფრაზირებულია დავალებიდან ან არ ხერხდება მინიშნებული კონტექსტის აღქმა. მაგ.:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- „თანამედროვე მიდგომის მიხედვით მასწავლებელი უნდა იყოს ფასილიტატორი“.</li> <li>- „დასჯა არ შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც სწავლისა და აღზრდის მეთოდი“.</li> <li>- „შეიცვალა მოსწავლეთა დამოკიდებულება სწავლისა და დისციპლინის მიმართ, ეს თაობათა შორის განსხვავების ბრალია“ .</li> </ul> <p>✚ ასევე შეფასდება ნაწერი, სადაც საუბარი იქნება დასჯის დასაშვებ ფორმებზე, მაგალითად: მშობლის დაბარება, დირექტორთან შეყვანა, სკოლიდან დათხოვნა, ბიბლიოთეკაში გაშვება და ა. შ.</p> |

## დავალება #28

მაქსიმალური ქულა – 3

| ქულა | აღწერა   |
|------|--|
